

ნახევი ჩვენი მომავალი



გამომცემელი — საზოგადოებრივი ორგანიზაცია,
ახალგაზრდული ცენტრი “პროგრესი”

ჩოხატაური
2010

გამომცემლისაგან:

2009 წელს გამოიცა წიგნი „წარსული ჩვენი მომავალია“ პირველი წანილი. გამოცემის მიზანია მტვერი მოვაცალოთ წარსულის ფურცლებს, სააშკარაოზე გამოვიტანოთ, ჩვენი და თითოეული ჩვენგანის დაუვინყარი წარსული და სიამაყე. საბედნიეროდ, ვერ ამოვნურეთ ინფორმაციი იმ ადამიანების შესახებ, რომ-ლებმაც კვალი დატოვეს ჩვენი რაიონის ისტორიაში.

თავისი ნიჭიერებით, შრომით, ბრძოლით გახდნენ საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, დამსხურებული მასწავლებლები, ექიმები, გმირები და უბრალოდ ნამდვილი ჩოხატაურლები. ბოდიშს ვიხდით ყველა საპატიო ჩოხატაურელის ხსოვნის წინაშე ვისი გახსენება ვერ შევძელით სხვადასხვა მიზეზის გამო.

პატივისცემით:

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახალგაზრდული ცენტრი „პროგრესი“



წიგნის გამოცემის დაფინანსება მოხდა ფონდ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

დაბა ჩოხატაური, რუსთაველის ქ. #10

ელ-ფოსტა:zaza-vzu@mail.ru, progresi_office@mail.ru

ტელ: 8219-2-20-73, მობ: 893-35-34-15

გომავლის ყოველი წამი წარსულის სტიქიაში მწიფდება და იქვე იდგამს ფეხს, ხოლო მისმა სამოცმა გაელვებამ კაცობრიობის ამქვეყნიურ წუთისოფელს დაუდო საფუძველი.

წუთის სოფელი კაცობრიობის დიდი ოაზისია, რომელიც დედამიწაზე გაშლილია და მისი ყოველი ადგილი ამა თუ იმ ხალხის ენითაა წარმოჩენილი.

ამათ შორის ბრწყინვადა ერთ დროს ზემო გურიის უმშვენიერესი სოფელი ბირკნალა, რომელსაც სკვით-სარმატთა შთამომავლებმა ჩოხატაური ამჯობინეს.

აბა მაშინ ვინ იფიქრებდა, თუ ამ ახალ დაბას არც ბირკნილა ეყოფოდა და მალე მახლობელ სოფლებშიც (შუაფარცხმა, ზემოფარცხმა) შეიჭრებოდა.

ეს წარმონაქმნი ისე სწრაფად გაიზარდა, რომ უცხო ადმინისტრაციამ ოზურგეთის მაზრის უბნადაც (“უჩასტყა”) აქცია.

მოგვიანებით “უბანი” “რაიონით” შეიცვალა, ხოლო ჩვენს დროში “მუნიციპალიტიტი” ეწოდა.

სანამ ჩოხატაური უბანი “გახდებოდა”, მანამდე ამ მიწა-ნებლის უდიდეს ნაწილს “საერისთავო” ერქვა.

ერისთავის იხსტიტუტი ამ მხარეში დიდი ტრადიციის გახდათ, მაგრამ სამოხელეო ტერმინის (ერისთავი) საგეოგრაფო სახელად გარდაქმნა მისი საგვარეულო სახელად გადაქცევის შემდეგ მოხდა მხოლოდ.

შერვაშიძე - ერისთავები დიდ ყმა-მამულს ფლობდნენ სუფასა-გუბაზეულისა და საჯავახოსნებლის (ხევისწყალი) ხეობებში და უფრო შორსაც.

“საერისთაოს” წინამობრედი “ერგე” (ახლა “ერკეთი”) ერთ დროს გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ბახვისწყლიდან მოკიდებული ღომისციხესა და რიონამდე).

“ერგე” იმ დროს იშვა, როდესაც ამ მხარის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო და ”ბახმაროს”, ”გვაბრათისა” და სხვათა შემოქმედებმა ქვეყნის გამგებლობის სადავეები დაკარგეს და მას სხვა “ნათესავი” დაეუფლა.

ასე გაგრძელდა ლაზთა სამეფოს დაშლამდე, როდესაც “გურია” წარმოიქმნა. მას შემდეგ ასწლეულმა ჩაიარა და გურიამაც ცხოვრების დიდი გზა განვლო.

ამ გზაზე ყველაზე უფრო გურიის ქვემო მხარე დაზიანდა. არც ზემო გურიას ჰქონია დალხინებული უამთასვლა, მაგრამ იგი მაინც ხელშესახებად წარმოაჩენდა თავის დიდ შესაძლებლობებს.

ამ სახელოვან წარსულს ყურადღება მიაპყრო ახალგაზრდულმა ცენტრმა “პროგრესმა”. ამ ორგანიზაციამ ჩოხატაურელ მოღვაწეებს გასულ წელს პირველი წიგნი მიუძღვნა, ახლა კი-მეორე გამოდის.

იური სიხარულიძე

აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისაო!

აკაკი

გიორგი ერისთავი

ზემო გურიის (ჩოხატაურის) ერისთავი გიორგი შერვაშიძე XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. ის იყო მამია III გურიელის (1689-1711 წწ) სიძე და მხარში ედგა მას. გურიელმა დაუფასა ერთგული სამსახური, ზემო გურისს ერისთავს, გორმალალის მონასტერიც უწყალობა და სხვა სიკეთეც ბევრი მიაგო: „ორგული“ პაპუნა ნანეიშვილის მთელი საქონებელი უბოძა, ხოლო “სრულიად საჯავახო სახელოდ” მისცა.

მამია III გურიელი მარტოოდენ ამით არ დაკმაყოფილებულა და სიძისთვის სოფელ სურებში უწყალობებია მამულები.

გურიაში შერვაშიძეთა სათავადოს ფუძემდებელს საკმაოდ გაუფართოებია თავისი სამფლობელო ყმა-მამულებით, მაგრამ ეს წარმატებები ერისთავს წყალში ჩაუცვივდა მამია გურიელის მემკვიდრის - გიორგი IV-ის (1713-1726 წწ.) უამს. ეს გამოიწვია მთავრისა და მისი ძმის (ქაიხოსროს) ბრძოლისას გიორგი ბატონიშვილის მხარეზე დადგომამ. ამ ბრძოლაში ბატონიშვილი დამარცხდა და მოღალატე ერისთავს გურიელმა, როგორც საჯავახოს, ისე სურების მამულებიც ჩამოართვა, მაგრამ მარტო ეს არ აკმარა და ერისთავი “განაძო” (განდევნა).

წინა მთავრისას ასე წარმატებული ერისთავის (თავადის) ამგვარის რისხვა არც ისე ადვილი ასატანი გახსლდათ და ერისთავმაც მთავრის გულის მოგება დიდი თანხის გაღებით შეძლო. ამის შედეგად ერისთავი მამულშიც დაბრუნდა და წართმეული ქონებაც დაიბრუნა, მაგრამ უცნობია, მოახერხა თუ არა გურიელის კარზე ადრინდელი პრესტიჟის აღდგენა.

ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გიორგი ერისთავი XVIII საუკუნის დამდეგაც ცოცხალია და შვილის ოსმალთა ტყვეობიდან დახსნისათვის არაფერს იშურებს.

ზაალ ერისთავი

ზაალ გიორგის ძე ერისთავი. ზემო გურიის ერისთავთა სახლის უფროსი გახლდათ, ცხოვრობდა მე-18 საუკუნეში. იყო ნიჭიერი პოლიტიკოსი და ყოველმხრივ ცდილობდა, რომ თავიდან აეცილებინა ისეთი მძიმე განსაცდელი, როგორიც მამას შეემთხვა და მიზანსაც მიაღწია.

სამეფო კართანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და სამთავრო კართანაც. იმ არეულ ჟამს, ამგვარი რამ საკმაოდ ძნელი იყო, მაგრამ პოლიტიკური ნიჭიერება შველოდა ერისთავს.

ზაალ ერისთავი სოლომონ პირველის ერთგული სიძე იყო, რაც ხრესილის 1757 წლის ბრძოლაშიც ნათლად გამოჩნდა, როდესაც მან საარაკო მამაცობა გამოიჩინა და ოსმალთაგან წარტაცებული სამეფო დროშა გამოგლივა ხელიდან მტერს.

შემდეგ ზაალი ოსმალებს ჩაუვარდათ ხელთ და მისი გამოხსნა 5 ოსმალურ ქესად (1 ქესა 120 რუსულ მანეთს უტოლდებოდა) დაჯდა.

1764 წელს მამია მე-4 გურიელმა ზაალ ერისთავს, იმერთა მეფის შუამდგომლობით, დიდი ყმა-მამული უწყალობა: „ერკეთი და მისი შემავალი მთლიანად ოქროსქედი ვანისქედიანად.“ (სო. სოსელია ნარკვევები).

ერკეთს, ოქროსქედსა და ვანისქედს გარდა ზ. ერისთავი „ჯუმათის შემავალ“ შუხუთსაც ფლობდა.

ზ. ერისთავმა აქცია ერკეთი ზემო გურიის ერისთავთა საგვარეულო საძვალედ და მის აკლდამაშიც პირველად ის დაკრძალეს.

დავით ერისთავი

დავით ზაალის ძე ერისთავი. მამის შემდეგ ის გახლდათ ერისთავთა სახლის თავკაცი.

მე-18 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც იმერეთის სამეფო ტახტის გარშემო დიდი ბრძოლა გაჩაღდა, დავითი გიორგი მეფის ბანაკში აღმოჩნდა და მის მეტოქეს მზარედ დაამახსოვრა თავი. გამარჯვებულმა სოლომონ მეფემ არ აპატია მას კადნიერებანი და დასაჯა. მეფემ სათავადოს უფროსობიდან ჩამოქვეითება არ აკმარა და საჯავახოს ხეობიდან მამულებიც წაართვა.

გიორგი ერისთავი მდივანბეგი (XIX საუკუნე)

გიორგი დავითის ძე ერისთავი (დავით ზაალის ძე) - სიკო, ზურაბ და სოლომონ ერისთავების ძმა. გ. ერისთავი განათლებული და ავტო-რიტეტული პიროვნება გახლდათ. მანვე განაპირობა სწორედ მისი ქორწინება ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანის (1788-1803) ასულ მარიამზე, რომელიც დედით ქართლ-კახეთის დიდი მეფის ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო.

მამია-V გურიელის (1809-1822) უამს გიორგი ერისთავი სამთავროს კარზე მდივანბეგი იყო.

გიორგი ერისთავს რამდენიმე სასახლე ჰქონდა: საზამთრო – ჩოხა-ტაურში (ბირკნალა), ხოლო ერთი – საბერიძაოს. (კარგახანია ქვემო ერკეთსაა მიერთებული).

გიორგიმ და მარიამმა ხუთი შვილი აღზარდეს: დავითი, ივლიანე, თომა, სოფიო და ათანა.

სათნოებით სავსე გიორგი და მარიამ ერისთავებს შორის პირველად დადიანის ასული გარდაიცვალა, რომელსაც მეუღლებ ერკეთის ტა-ძარში მიუჩინა საუკუნო განსასვენებელი, რამდენიმე წლის შემდეგ მანაც იქ განისვენა.

ლომინ ერისთავი

ლომინ ერისთავს საპატიო ადგილი ეკავა დაბა ჩოხატაურის ერისთავთა შორის, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის უფროს ძმას – გიორგის, რომელიც ბრწყინვალე იურისტი (მდივანბეგი) ბრძანდებოდა.

გიორგისთან ერთად ის ძალიან შეაწუხა მათი ოფიცერი ძმის ზურაბის ტრაგიულმა სიკვდილმა და მისი სულის საოხად ბევრს ზრუნავდა. ერისთავის ცხოვრება დღემდე არაა შესწავლილი კარგახანია თავის მკვლევარს ელის.

ვახტანგ ერისთავი

ვახტანგ ერისთავი როსტომ ერისთავის უფროსი ვაჟი (გიგო ერისთავის ძმა), ის იყო გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწე.

1807 წელს ქაიხოსრო გურიელმა ვახტანგ ერისთავს სამთავრო კარის დიდი ღირსების სახელო-ბოქაულთუხუცესობა უბოძა. სულ მალე (იმავე წელს) ვახტანგს მეორე სახელოც უწყალობეს. ასეთი დაფასება ერისთავის დიდ დამსახურებას გულისხმობს. გურიელთა კარის ასეთი განწყობილება ერისთავისადმი 1810 და 1811 წელსაც უცვლელია, ასე რომ ბოქაულთუხუცესობა 1819 წლამდე ვახტანგს უპყრია, 1820 წლიდან ამ თანამდებობას ბატონიშვილი გიორგი მაქსიმენიშვილი ეუფლება. 1829 წელს იგი კვლავ ვ. ერისთავის ხელთაა, მცირე ხნით 1823 წლამდე. ვახტანგმა რუსთა ერთგულებითაც გამოიჩინა თავი და კაპიტანის სამხედრო წოდებაც მისცეს. დრო გადიოდა, მდგომარეობა ვახტანგის სასრგებლოდ იცვლებოდა, 1827 წლის იანვარში, როდესაც „გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო“ შეიქმნა, ვახტანგი ამ საბჭოს წევრი გახდა. გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს დაკომპლექტებას კავკა-სის მთავარმმართველი აკონტროლებდა და ისიც რუსთა ერთგულებით ივსებოდა. ამ საბჭომ 1828 წლის მიწურულამდე იარსება. ადგილი დაუთმო მმართველობის ახალ ორგანოს, რომელსაც “გურიის დროებითი მმართველობა” უწოდეს. ვახტანგ ერისთავი არც ახლა დავიწყებიათ და მასში ისიც შეიყვანს. ამ საბჭოს წევრები აგრეთვე იყვნენ: გიორგი ერისთავი (ყოფილი მდივანბეგი), სიმონ გუგუნავა და გიორგი ნაკაშიძე, საბჭოში ვახტანგს დიდი გავლენა ქონდა. ვახტანგს ჰქონდა კარგი ოჯახი და შვილიც ღირსეულად აღზარდა.

გიგო ერისთავი

გიგო როსტომის ძე ერისთავი. (როსტომი დავითის ძე) XVIII – XIX საუკუნეთა მოღვაწეა. ის ერისთავის უფროსის ვაჟი გახლდათ და გურიის სამთავროს კარზე დიდ წარმატებასაც მიაღწია. იყო სარდალი, მოურავი და მდივანბეგი.

სასახლები ჰქონდა, როგორც სოფელ გორაბერეულს, ისე ბირკნალას (მერმინდელი დაბა ჩოხატაური).

ბირკნალას მისი სასახლე მდ. სუფსის მარჯვენა სანაპიროზე იდგა, სადაც დღეს ჩოხატაურის სამრევლო სკოლაა.

სარდალ-მოურავი და მდივანბეგი მდიდურალად ცხოვრობდა. ბირკნალას სასახლეში დღენიადაგ შინაყმები ტრალებდნენ, მათ შორის იყვნენ ფარეშნიც. ბოლო წლებში სარდალ-მოურავი იძულებული გახდა რუსთა მხარე დაეჭირა, რაც ბერეზოულის სასახლის გადაწვის

ფასად დაუჯდა. ასე დასაჯა გურიელმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ, „ერთგულად ნამსახური“ სარდალ-მოურავი და მდივანბეგი. ამის შემდეგ გიგო ერისავს დიდხანს არ უცხოვრია.

ჯამბაკურ ერისთავი

ჯამბაკურ (ჯაბა) ერისთავი სოფ. გოგოლესუბნის მკვიდრი გახლ-დათ. იყო განათლებული და შესანიშნავი მეომარი. მონანილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში (1877-1878). იყო შესანიშნავი მეურნე. სუფსის სანაპიროზე გაშენებული ჰქონდა ხეხილის დიდებული ბალი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ანდრია ერისთავის ბალს. სუფსაზე ჰქონდა დოლაბი, რომელსაც მეტნილად მისი ნაყმევი დო-მენტი გოგლაძე ემსახურებოდა.

მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ერთი ვაჟის (შალვა ერისთავი) იმე-დით ცხოვრობდა, მაგრამ მწარე ბედმა სიბერეში იმედი გაუქარწყლა, რადგან XX საუკუნის 20-იან წლებში, შალვამ ქუთაისში თავი მოიკლა.

დიმიტრი ერისთავი

დიმიტრი (ტიტიკო) კონსტანტინეს ძე ერსთავი დაიბადა 1862 წელს, სოფელ გორაბერეჟოულში. წერა-კითხვა დ. ერისთავმა სახლში შეისწავლა. 1872 წელს ის ქალაქ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს, რომელიც 1882 წელს წარმატებით დაამთავრა და იმავე წელს ჩაი-რიცხა ქალაქ კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. დამთავრების შემდეგ, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, დირექციამ დ. ერისთავს წინადადება მისცა ასპირანტად დარჩენილიყო. დიმიტრიმ უარი განაცხადა და გაეშურა თავის საყვარელ გურიაში, სადაც ხა-ლხისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

1888 წელს დიმიტრი ერისთავი დაინიშნა ექიმად სოფელ ნაგომარ-ში. 1895-1900 წლებში იგი თბილისის სამედიცინო დეპარ-ტამენტის ექიმია. 1900 წიდან გურიაში ბრუნდება და კვლავ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს. ის კარგად ფლობს „თერაპევტის სასიჯვსა და დოსტაქრის დანას“. დიმიტრი ერისთავი საკუთარი სახსრებით ხსნის ოზურგეთში აფთია-ქს და აარსებს საავადმყოფოს, რომლის ბაზაზეა გახსნილი ოზურგეთის დღევანდელი საავადმყოფო.

სამედიცინო საქმეს დ. ერისთავი შესანიშნავად უთავსებდა სამწერლო მოღვაწეობას. ის გვერდით ედგა XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული მწერლობის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს, როგორებიც არიან : ეგ. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი... და სხვა. 1918 წელს ოზურგეთში, თურქების შემოსევის შედეგად განადგურდა დ. ერისთავის ლექსების კრებული.

„**თუ საპირადოდ დაბადებულხარ,**
და კერძოობის შენ ხარ მძებნელი,
მაშინ არ ვიცი თუ რა გისურვო?
ბევრს ამა სოფლად ნურას მოელი.“

წერდა დ. ერისთავი ერთ თავის ლექსში დიმიტრი ერისთავი იყო ცნობილი ბელეტრისტი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე.



ჩუტა ერისთავი
(მსახიობი)

ჩუტა ერისთავი დაიბადა 1902 წელს, კონსტანტინე ერისთავის ოჯახში. ჩუტას მამასთან ხშირად დადიოდნენ სტუმრად აკაკი წერეთელი, ლადო მესხიშვილი, ვანო სარაჯიშვილი და სხვები. ჩუტა ერისთავი იყო უმშვენიერესი, ნიჭიერი ახალგაზრდა.

კონსტანტინე გამსახურდიამ მსახიობისათვის მირთმეული წიგნის ავტოგრაფში ჩუტა ერისთავის მშვენება ასე გამოხატა: „ქ-ნ ჩუტა ერისთავ-ულენტისას, ძველი საქართველოს უკანასკნელ ფრესკას“.

1923 წელს რეჟისორი ბექ-ნაზაროვი შეუდგა ფილმ „მამის მეგლელის“ გადაღებას, ა. ყაზბეგის რომანის მიხედვით. გაანაწილა როლები და ღიად დარჩა გლახას ცოლის როლი, რეჟისორი ქუჩაში სრულიად შემთხვევით ხვდება ახალგაზრდა ქალს, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰყავდა თავისი ფანტაზიით წარმოდგენილ გლახას ცოლს. „ეს იყო სახე, ჩვენს მიერ შინაგანი ხედვით წარმოდგენილი. სახის დახვენილი, ფაქიზი ნაკვთები, მოხდენილი ფიგურა, გამომსახველი და მთამაგონებელი ნუშისფერი თვალები. ეს იყო ჩუტა ერისთავი.“

ჩუტა ერისთავი 1937 წელს მოსკოვში გამართული პირველი ქართული დეკადის მონანილე იყო. მან დიდი წარმატებით შეასრულა ცეკვა „ქართული“. მოკლე, მაგრამ შემოქმედებითი გზა განვლო ჩ. ერისთავმა ქართულ კინემატოგრაფიაში.



გიორგი ერისთავი მხატვარი

გიორგი ერისთავი 1891 წელს დაიბადა ჩოხატაურში, მამა ოფიცერი, გურიის თავადაზნაურების მარშალი, შემოქმედი (დრამატურგი, პოეტი). განათლებული ოჯახი დიდ სულიერ საზრდოს აძლევდა არისტიკურატიული წარმოშობის ნიჭიერ ყმანვილს.

გიორგი ერისთავი სწავლობდა ქალაქ ქუთაისში, მის ცხოვრებაში დადებითი მუხტი შეიტანა, ქალაქებმა პეტერბურგმა და კიევმა, სადაც მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება. იურიდიულმა განათლებამ ხელოვნებისაკენ სწრაფვას მაინც ვერ დაუხშო გზა და ისიც (გ. ერისთავი) მთელი შეგნებით ხელოვნების სამსახურში ჩადგა.

გ. ერისთავი სულ მალე დაინტერესდა ქართული ფრესკული მხატვრობით და უდიდესი ამაგი დასდო მშობლიურ ხელოვნებას. ის ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1925 წელს წარმატებით დამთავრა და მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართველ პროფესიონალ მხატვართა შორის.

შესანიშნავი მხატვრითა და სანაქებო მამულიშვილით მის სიცოცხლეშივე ამაყობდნენ ქართველი მხატვრობის დამფასებელნი და მის ღვაწლს ვერც დროთა ცვალებადობა მიაყენებს ზიანს.

მარიამ ერისთავი

მარიამ ერისთავი დაიბადა სოფ. გორაში. მამამისი კონსტანტინე ერისთავი „მომრიგებელი შუამავალი“ გახლდათ და გუბაზეულის მარჯვენა სანაპიროზე ცხოვრობდა ამ მდინარის სუფსასთან შესაყარის ზემოთ. მარიამი ცოლად გაჰყვა გერმანელ ექიმს და სოფელ ზემო ამაღლებაში (სოფ. განახლება) დასახლდნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შეძლებულად და ბეღნიერად ცხოვრობდნენ რევოლუციამდე, ვიდრე ქვეყანა აირეოდა. არეულობამ დააფრთხო გერმანელი ექიმი და ამაღლება მიატოვა. მარიამი მარტო დარჩა. მან დაუვიწყარი ქველმოქმედება გამოიჩინა - სასახლე უსასყიდლოდ დაუთმო სოფელს სკოლისათვის. სოფელმა სკოლას მისი სახელი მიანიჭა.



მიხეილ ერისთავი

მიხეილ ერისთავი თვითნასწავლი აგრონომი გახლდათ, მაგრამ თავისი ნიჭის წყალობით აგრონომიული მეცნიერების მრავალ საიდუმლოს ჩასწდა და თავის მამაულში (სოფ. გორა) პრეზიდენტი დეკორატიული ბალი გააშენა.

მან არც ჩაის კულტურა დატოვა უყურადღებოდ და ჩვენში პირველმა მან მიანიჭა მას სამეურნეო მნიშვნელობა.

ახალი ტიპის მეურნე შეეცადა ქუთაისის გუბერნიის ხელისუფლებაც აეყოლიებინა ამ დიდ საქმეში, მაგრამ ამაოდ ამან მაინც ვერ დააცხრო გონიერი მეურნე და საწადელს მალე (1864 წ) მიაღწია.
მიხეილ ერისთავი 1867 წელს ტრაგიკულად დაიღუპა

ნიკოლოზ ერისთავი

(ექიმი, მხარეთმცოდნე)

ნიკოლოზ ერისთავი დაიბადა ჩოხატაურში. პროფესიით ექიმმა ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ნიკოლოზ ერისთავმა, მხარეთმცოდნეობასაც დაატყო თავისი ნიჭიერებისა და ერთგულების კვალი.

ახლო ურთიერთობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილითან და ხალისით აცნობდა მას მნიშვნელოვან მონაბივარს.

ექიმსა და მხარეთმცოდნეს განსაკუთრებით ეწადა, რაც შეიძლებოდა ღრმად ჩასწდომოდა ზემო გურიის ერისთავთა ისტორიულ ფესვებს და გულმოდგინედ მუშაობდა ერისთავთა შთამომავლებსა და მათი ცხოვრების შესახებ.

პეტრე ერისთავი

პოეტი

პეტრე ერისთავი დაიბადა სოფ. გორაში (გუბაზეულის მარჯვენა სანაპიროზე).

ის გურიის „მომრიგებელი შუამავლის“ კონსტანტინე მეორე ერისთავის მეორე შვილი იყო. მან შესანიშნავი განათლება მიიღო და მისი დროის მონინავე საზოგადეობაში მალე გამობრნყინდა.

პეტრე ერისთვის პოეზიას ფართოდ გაულო კარი ქართული დე-
მოკრატიული პრესის დიდმა ფლაგმანებმა: “დროებამ”, „ივერიამ”,
და სხვებმა.

სიმონ ერისთავი

სიმონ თომას ძე ერისთავი. (მდივანშეგ გიორგი ერისთავის ძის თო-
მას ვაჟი). მან მოსკოვში მიიღო იურიდიული განათლება, იყო კარგი
ადვოკატი.

ცოლად ჰყავდა უკრაინელი ნატალია ხანდალაევა. ეს კეთილშობილ-
თა ოჯახში აღზრდილი ქალბატონი ფლობდა უცხო ენებსა და დიდი
სათხოებითაც იყო მიმადლებული. მათ აღზარდეს ბრწყინვალე შვი-
ლი - ქართული გეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მესაძირკვლე,
პროფესორი მიხეილ ერისთავი.



მიხეილ ერისთავი

მიხეილ სვიმონის ძე ერისთავი დაიბადა 1910 წელს
დაბა ჩოხატაურში. 1930 წელს გამოცდები ჩააბარა
თ.ს.უ-ში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1936
წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტი და ამავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში, 1940
წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა
საქართველოს მეცნიერებათ აკადემიის გეოლოგიურ
ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. მონაწილეობა მიიღო
მეორე მსოფლიო ომში. ავადმყოფობის გამო იყო დემობილიზებული.
მუშაობა განაგრძო მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტი-
ტუტში. 1949 წელს კვლავ დაიცვა დისერტაცია დოქტორის ხარისხის
მოსაპოვებლად. არის 60-მდე მეცნიერული შრომის ავტორი. ის დიდ
სამეცნიერო საქმიანობას ახორციელებდა არა მარტო საქართველო-
ში, არამედ საზღვარგარეთაც. მ. ერისთავი შეიყვანეს საერთაშორისო
გეოლოგიური კონგრესის ხმელთაშუა ზღვის მეზოზოური სტრატი-
გრაფიის საერთაშორისო კომიტეტის წევრად.

„ყოველი ადამიანი,
ადამიანობის ისტორიაში რჩება, როგორც მითი!“
კონსტატნტინე გამსახურდია

ჩოხატაურში მოღვაწე სასულიერო პირები

1. სოფელი ერკეთი. მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია.
1875 წელი.

მღვდელი:

- გიორგი ბეჟანის ძე მგალობლიშვილი
- სვიმონ მგალობლიშვილი
- მაქსიმე მგალობლიშვილი

2. სოფელი იანეული. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
1851-1880 წლები

მღვდელი:

- ანტონ იოანეს ძე კეკელიძე
- ივანე კეკელიძე

3. სოფელი ზემო ამაღლება. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
1868-1879 წლები

მღვდელი:

- ესე დავითის ძე ჯიბუტი.
- სვიმონ დოლიძე

4. სოფელი სამება. წმინდა სამების სახელობის ეკლესია.
1875 წელი.

მღვდელი:

- იოანე მახარაძე.
- ანდრია წეროძე.
- იოანე წეროძე.

5. სოფელი ფარცხმა. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
1875 წელი.

მღვდელი:

- გიორგი ცინცაძე.
- ბესარიონ მგალობლიშვილი.
- ხალამპრე ცინცაძე.

6. სოფელი გუთური. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
1851 წელი.

მღვდელი:

- ანტონ ჩიგოგიძე.
- დავით ჩხიკვიშვილი.

7. სოფელი ბასილეთი. წმინდა ვასილის სახელობის ეკლესია.
1854-1872 წლები:

მღვდელი:

- სოფრომ ჯაში.
- პეტრე დავითის ძე ჯაში.
- მაქსიმე ჯაში.

8. სოფელი ხიდისთავი. (მეწიეთის) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
1841-1872 წლები.

მღვდელი:

- ბესარიონ დავითის ძე კალანდაძე.
- პეტრე გიორგის ძე კალანდაძე.
- ესე კალანდაძე.
- გიორგი იობის ძე ციკვანაძე.
- მაქსიმე კალანდაძე.
- გიორგი ლომთათიძე.
- სერაპიონ კალანდაძე.
- ფილიპე კალანდაძე.
- გრიგოლ ბესარიონის ძე კალანდაძე.

9. სოფელი ხიდისთავი. ახალშენის მაცხოვრის სახელობის ეკლესია.
1851-1868 წლები,

მღვდელი:

- მიხეილ მეგრელიძე
- მიხეილ გიორგის ძე ჩიგოგიძე.
- ლუკა მეგრელიძე
- სპირიდონ ჩხიკვაძე.

10. სოფელი ქვენბანი. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
1854 წელი,

მღვდელი:

- ლაზარე სამოელის ძე ლომაძე.
- მიხეილ იესეს ძე მეგრელიძე.

- ნიკოლოზ ლაზარეს ძე ლომაძე.
- ზაქარია ივანეს ძე მეგრელიძე.
- ლუკა ივანეს ძე მეგრელიძე.
- გიორგი მეგრელიძე.

11. სოფელი შუბანი. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

1870 წელი,

- მღვდელი - იესე დავითის ძე კეკელიძე.

12. სოფელი ხევი. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

1840-1875 წლები,

მღვდელი:

- ივანე გაბრიელის ძე მამალაძე.
- გიორგი მაარობლის ძე ანთიძე
- ანდრია მამალაძე.

13. სოფელი ქვემოსურები. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

1842 წელი,

მღვდელი:

- იოანე რამიშვილი.
- ნიკოლოზ ესეს ძე ტრაპაიძე.
- ლუკა რამიშვილი.
- ბართლომე რამიშვილი.

14. სოფელი ზემოსურები. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

1845 წელი,

მღვდელი:

- სვიმონ თალაკვაძე.
- ლუკა ნიკოლოზის ძე ტრაპაიძე.

15. სოფელი თავსურები. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

1847 წელი,

მღვდელი:

- მაქსიმე მგალობლიშვილი.
- ლევანტი თევზაძე.

16. სოფელი ინტაბუეთი. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

1842 - 1877 წლები,

მღვდელი:

- იობი ოტიას ძე ჩიგოგიძე.
- ანტონ პეტრეს ძე ჩიგოგიძე
- ერმალოზ ჩიგოგიძე.

17. სოფელი ჩაისუბანი (ჯვარცხმა). მაცხოვრის სახელობის ეკლესია. 1873-1890 წლები,

მღვდელი:

- ანდრია იობის ძე უნგიაძე.
- იოანე ანდრიას ძე უნგიაძე.
- მაქსიმე ნიკოლოზის ძე უნგიაძე.

18. სოფელი გორაბერეჟოული. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. 1872 წელი. მღვდელი - სვიმონ ტყეშელიაძე.

19. სოფელი გოგოლესუბანი. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია 1858 წელი,

მღვდელი:

- დავით გიორგის ძე ბერძენიშვილი.
- სვიმონ გაბრიელის ძე სიხარულიძე.
- იესე მამუკას ძე სიხარულიძე.

20. სოფელი დაბლაციხე (ციხე). იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

1854 - 1899 წლები,

მღვდელი:

- იესე პროფილეს ძე ცინცაძე.
- ნიკოლოზ ცინცაძე.
- მაქსიმე ცინცაძე.
- იოანე კიკვაძე.

21. სოფელი კოხნარი. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია 1840-1880 წლები,

მღვდელი:

- გიორგი უშვერიძე.
- ბესარიონ უშვერიძე.
- ნიკოლოზ უშვერიძე.
- მიხეილ უშვერიძე.

22. სოფელი ზემოხეთი (კალაგონი). წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია.

1842- 1877 წლები,

მღვდელი:

- გიორგი ივანეს ძე ბრიკიშვილი.
- ივანე ხუნდაძე.
- ფილიმონ ბროკიშვილი.
- ნიკოლოზ ხუნდაძე.
- ალექსი ხუნდაძე.

23. სოფელი ქვემოხეთი. მაცხოვრის სახელობის ეკლესია.

1844-1880 წლები,

მღვდელი:

- პეტრე შანიძე.
- ბესარიონ უშვერიძე.
- გიორგი შანიძე.
- ივანე ნიკოლოზის ძე ხუნდაძე.

24. სოფელი საჭამიასერი (ჩომეთი). წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

1842-1879 წლები,

მღვდელი:

- ალექსი ხუნდაძე.
- ბესარიონ ვახტანგის ძე ხუნდაძე.

25. სოფელი ბურნათი. წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესია.

1862 წელი,

- მღვდელი - ოქროპირ უშვერიძე.

იოსებ ტუსკია

გურიის უდაბნოს მამათა მონასტრის წინამძღვარი. (სოფელი შუაგა-სახლება. ძველი სახელწოდება ამაღლება.) იოსებ ტუსკია ცხოვრობდა გურიელების მამია IV-ის, გიორგი V-ისა და ვახტანგის დროს. ის თავისი ცხოვრებითა და ღვანლით ყველაზე ცნობილ პიროვნებად ითვლებოდა იმერეთსა და გურიში. არსებობს ორი საბუთი, რომელიც გიორგი V გურიელმა უბოძა მას: პირველი 1774წ, მეორე 1776წ.

ამ საბუთების მიხედვით აღიარებულია ხელმწიფე გურიელის კარის მოძღვრად და საჯუმათელოს მომწყვოდ, ქორეპისკოპოსად და მეომოფრედ. ასევე არსებობს აფხაზეთის კათოლიკოს მაქსიმეს 1777 წლის ინსტრუქცია უდაბნოს მამა ოოსებისა და ერკეთის წინამდღვარ ბესარიონისადმი. ამ ინსტრუქციით: მათ ევალებათ მოიხილონ გურიის ეკლესიები და თვალყური ადევნონ მათ საქმიანობას და ასწავლონ მღვდლებს თავიანთი მოვალეობა.

1846-1921 წლებში გურიის უდაბნოს სავანეში მოღვაწე წინამდღვრები:

არქიმანდრიტი გაბრიელ ტუსკია - 1846-1856წწ. შემდგომში გურიის ეპისკოპოსი. (1860-1882წწ)

- არქიმანდრიტი თომა - 1857-1885წწ.
- არქიმანდრიტი გერასიმე - 1886-1900წწ.
- არქიმანდრიტი არსენი - 1901-1921წწ.



**შაქარიშვილი გრიგოლ
ეპისკოპოსი**



ხუნდაძე ლუკა

დაიბადა 1877 წელს სოფელ ჩომეთში(ოზურგეთის მაზრა). დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის საეკლესიო სკოლაში. საფრანგეთში დაამთავრა სასულიერო სემინარია და დაბრუნდა მშობლიურ მხარეში. იყო სოფლის ეკლესიის მღვდელი. ხელმძღვანელობდა სოფელ საჭამიასერის ცენტრი-

სა და დაწყებითი 7- წლიანი სკოლის მშენებლობას. 1907 წელს ლუკა ხუნდაძემ შეძლო „იარმუკობის“ (სადღესასწაულო პაზრობის) გადატანა სოფელ ნანეიშვილის ეულიდან (კოხნარიდან) სოფ. საჭამისასერში. პროგრესულად მოაზროვნე ლ. ხუნდაძე ილაშქრებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს, 1893 წელს, მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა გაფიცვაში და ამიტომაც სასწავლებლიდან გარიცხეს.

1906 წელს ლუკა ხუნდაძემ ქუთაისის გუბერნატორს დაამტკიცებინა დაწყებითი ოთხწლიანი უმაღლესი სკოლა მშენებლობა დაიწყო 1906 წელს. დასრულდა 1914 წელს. სკოლის პირველი დირექტორის კარპეზ ბერიძის შემდეგ თავად იყო დირექტორი, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ხუნდაძე რაჟდენი

დაიბადა 1845 წელს, სოფ. კალაგონში (ოზურგეთის მაზრა), აზნაურის ოჯახში. ის იყო სილოვან ხუნდაძის უფროსი ძმა.

მშობლებმა ის მიაბარეს საქართველოში განთქმული მგალობლის ანტონ დუმბაძის ოჯახს. მშვენიერი ხმითა და სმენით დაჯილდოებული რაჟდენი, როგორც “სრული მგალობელი”, განხესებულ იქნა მარტვილის მონასტერში.

1884 წელს რაჟდენ ხუნდაძე დაინიშნა გალობის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ის ამავე დროს “საჯავახოელის”, “ქართველიშვილის”, “ბეკო გმირიძის” ფსევდონიმით. კორესპონდენციებს ბეჭდავდა უურნალებში (“კვალი”, “მწყემსი”). წერდა ლექსებს. სტატიებს აქვეყნებდა ქართული სიმღერა-გალობის დაცვისა და გავრცელების თემაზე, ნარკვევებს - ძველ ქართველ მოღვაწეებზე, ისტორიულ ძეგლებზე და სხვა.

1905 წელს გამოვიდა მისი ლექსთა კრებული.

რაჟდენ ხუნდაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საერო და სასულიერო სიმღერების დაცვის საქმეში. მან შექმნა ხუთი ხელნაწერი წიგნი, შეაგროვა და ხოტებზე გადაიტანა ორი ათასი სხვა-დასხვა ქართული საგალობელი (პირველი, მეორე და მესამე ხმა), გალობდა გუნდში, ლოტბარობდა, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა გალობას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, სასულიერო, საქალაქო, წმინდა ნინოსა და ეპარქიულ სასწავლე-

ბლებში, მართავდა საჯარო კონცერტებს. იყო ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი მცოდნე. 1916 წლის 27 მარტს რაჭდენ ხუნდაძემ მოაწყო ქუთაისში გრანდიოზული კონცერტი, სადაც თვითონ გალობდა.

რაჭდენ ხუნდაძემ სამხმიანი გუნდისათვის გამართა ფილიმონ ქორიძის მიერ პირველ ხმაზე ჩაწერილი სამი ათასასი საგალობელი. ამჟამად დაცულია რაჭდენ ხუნდაძის მიერ ნაგალობევი და ნოტებზე გადაღებული 1641 საგალობელი და 277 ხალხური სიმღერა.

მისი ხელმძღვანელობით 1890 წელს პირველად ქართულ ენაზე გამოიცა საეკლესიო სახელმძღვანელო “ტიპიკონი”.

1921-37 წლებში რ. ხუნდაძემ შეაგროვა ქართული სიმღერები სამუსიკო ქრესტომათისათვის. ამავე წელს მან დაამთავრა სამოქმედებიანი ოპერა „უცნაური ქორწილი“.

მის მიერ 1921-37 წლებში შეგროვებულია ქართული სიმღერა-საგალობლების უნიკალური მასალა. მისივე თხოვნით ეს მასალა ინახებოდა ზედაზნის მონასტრის ბერებთან, რომელიც 1937 წელს აღმოაჩინა რაჭდენის ვაჟმა შალვამ და გადასცა კომპოზიტორთა კავშირს და ხალხური შემოქმედების სახლს.

რაჭდენ ხუნდაძე ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებთან ერთად სათავეში ჩაუდგა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს.

რ. ხუნდაძე გარდაიცვალა 1929 წელს. დაკრძალულია ქ. ქუთაისში, გოჭოურას სასაფლაოზე, (ხუნდაძეთა საგვარეულო სასაფლაოზე).

„კარგი ცხოვრების დღეები დათვლილია,
კარგი სახელი კი საუკუნოდ რჩება.“
სიბრძნე ზაქარიასა

ბერიძე ალექსანდრე ოტიას ძე ბრანდმეისტერი (ბერანძრე)

დაიპადა სოფ. ხიდისთავში. (ახალშენი) მასობრივი ხანძარსაანინაალ-მდეგო პროფილაქტიკა საქართველოში პირველად 1924წელს გა-ტარდა. სხვადასხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში დაარს-და საკვამურსანმენდი საღუმლე რაზმები. 1921 წლამდე სახანძრო საქმეს ძირითადად პოლიციელები ემსახურებოდნენ. დაიწყო რე-ორგანიზაცია, საცხენოსნო ადალიდან საავტომობილო აღალაზე გადასვლამ გამოიწვია ამ საქმის მცოდნე სპეციალისტების მწვავე ნაკლებობა. ამ პერიოდში ქალაქ თბილისის სახანძრო დაცვის ხელ-მძღვანელად ინიშნება ალექსანდრე ბერიძე, რომელმაც იმუშავა 17 წელი. იყო პირველი ბრანდმეისტერი. მან არ შეასრულა მენშევიკუ-რი მთავრობის ბრძანება სახანძრო დაცვის თბილისიდან ევაკუაციის შესახებ, მთელი ძალები ცეცხლწაკიდებული დედაქალაქის ჩასა-ქრობად გამოიყვანა. შემდგომში ის ჯილდოვდება წითელი დროშის ორდენითა და ოქროს საათით.




გიორგაძე რაფიელ

დაიპადა სოფ. გუთურები, 1904 წელს. 1925 წელს და-ამთავრა ჩოხატაურის საშუალო სასწავლებელი. 1927-1929 წლებში მუშაობდა ჩოხატაურის ცენტრა-ლური ბიბლიოთეკის გამგედ.

1931 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტის დაუსწრე-ბელ განყოფილებაზე. რაფიელ გიორგაძე მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის უამრავ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. სამსახურეობრივ მოვალეობის შესრულებასთან ერთად ის ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს უამრავი ნაშრომი.

1958 წელს საფუძველი ჩაეყარა ჩოხატაურში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებას, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი რაფიელ გიორგაძე იყო. მისი და მეცნიერ-მუშავ სულიკოვაშალმიძის დაუღალავი შრომის შედეგად მუზეუმის ფონდი თანდათან ივსებოდა ექსპონატებით. (ისინი ექსპედიციებს აწყობდნენ მდინარეების - გუბაზეულისა და სუფსის ხეობებში, მათ სათავეებამდე (2300-2500მმ). 1961 წელს გაიხსნა მუზეუმის პირველი ექსპოზიცია, რომელსაც რაფიელ გიორგაძე ხალმძღვანელობდა.



კალანდაძე ოტია ვალერიანის ძე

დაიბადა 1931 წელს სოფელ ხიდისთავში. დაამთავრა ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში მასწავლებლად, (1956 წლამდე). 1956 წლიდან ის მუშაობს რაიონში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. გაზეთ „ბრძოლის დროშის“ რედაქტორის მოადგილედ.

გაზეთ „ხიდისთაველი კოლმეურხეს“ რედაქტორად, კულტურის განყოფილების გამგედ, რაიონული გაზეთ „კომუნიზმის განთიადის“ რედაქტორად, 1977წლიდან 1985 წლამდე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად. ის იყო არაერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიების ავტორი. მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა რაიონული დღესასწაული „ერისკაცობა“. იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების წევრი. სხვებთან ერთად მისი ინიციატივით დაარსდა გურიის უდაბნოს აკადემია. ო. კალანდაძე დაჯილდოვდა საპატიო სიგელებითა და მედლებით: საზოგადოება ცოდნისაგან საიუბილეო მედლით, საქართველოს ალკა კომკავშირის წინაშე დამსახურებისათვის, (ხელს აწერს, ედუარდ შევარდნაძე). ყაზახეთის კუსტანაის სამხარეო ოლქის მიერ ყამირ მიწებზე ნაყოფიერი მუშაობისათვის. სახალხო თეატრის დაარსების 15 წლისთავთან აქტიური დახმარებისათვის საქ. სრკ კულტურის სამინისტროს მიერ, (ხელს აწერს ოთარ თაქთაქიშვილი). გაზეთ „ლენინის დროშის“ დაარსების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით პრესაში აქტიური თანამშრომლობისათვის, ნსსს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ სპორტის ეროვნულ სახეობაში ცხენოსნობის რესპუბლიკური სპარტაკიადის

ორგანიზებულად ჩატარებისათვის, საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობა პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.(ხელს აწერს გ. ბედინეიშვილი).



კეშელავა ემილიან სევასტის ძე (შორეული ნაოსნობის კაპიტანი)

დაიბადა 1927 წელს სოფელ ნიფნარში. 15 წლის ემილიანეს გარდაეცვალა მამა და ოჯახის მთელი სიმძიმე მას დააწვა. ის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ქალაქ ბათუმში. ემილიანეს ძალიან უყვარდა ზღვაზე თევზაობა, ის თევზს ყიდიდა და ოჯახს არჩენდა. სათევზაოდ გასული ბიჭები ერთმანეთს ცურვაში შეეჯიბრნენ, ემილიანე შორს შევიდა ზღვაში და სასიკვდილოდ განწირული, ერთ-ერთი გემის ეკიპაჟმა გადაარჩინა. 16 წლის ემილიანე გახდა ეკიპაჟის წევრი. ერთი წელი გაატარა ემილიანემ გემზე და უკვე პროფესიონალი მეზღვაური დაბრუნდა უკან. 1936 წლიდან ის მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში. 1946 წელს შეიტყო, რომ იქმნებოდა ვეშაპთსანადირო ანტარქტიკული ფლოტილია „სლავა“ ჩაეწერა და დეკემბრის თვეში ანტარქტიდისაკენ გაემგზავრა. საშუალოდ თითოეულ გასვლაზე ფლოტილიას უხდებოდა 1.000.000. კმ გავლა. ხანგრძლივი და უმნიკლო შრომისათვის ის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და სიგელებით. არაერთხელ მოუპოვებია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საუკეთესო ბოცმანის წოდება და პროფესიაში საუკეთესოს სახელი. მას შორეულ ნაოსნობაში ყოფნის დროსაც არ დავიწყებია მშობლიური რაიონი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად ჩამოუტანა ვეშაპის ჩინჩხის ნაწილები და სუვენირები. ექსპონატები დღესაც საინტერესოს ხდის ექსპოზიციას. მან თავისი ბიოგრაფია აღწერა წიგნში “ოცი წელი ზღვაზე”.

ჟღენტი ავთანდილ

დაიბადა სოფ. ხევში, 1916 წელს. მცხეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ხოლო 1942 წელს დაამთავრა სასოფლო-

სამეურნეო ინსტიტუტის მებალეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი. 1943 წლიდან მოღვაწეობს თბილისის შამპანკომპინატში, 1949 წელს გადაჰყავთ გაერთიანებულ სამტრესტის „უფროს მეღვინედ. ავთან-დილი იყო პირველი ქართველი საბჭოთა სპეციალისტი, რომელიც რვა წლის განმავლობაში მუშაობდა ექსპერტად ბულგარეთში, რუ-მინეთასა და იუგოსლავიაში (1950-1958წწ). იგი ანარმოებდა თავის უცხოელ კოლეგებთან ერთად ქარხნების გადაირაღებას, თანამე-დროვე ტექნიკულოგიების დანერგვას. ბატონ ავთანდილის ხელმძღვა-ნელობით შეიქნა ბულგარეთში (სოფიის კონიაკის ქარხანაში) ბულ-გარული კონიაკი „9 სექტემბერი“. 1958 წლიდან იგი გადაიყვანეს თბილისის კონიაკის ქარხანაში ჯერ ტექნიკიმიკო კონტროლის გან-ყოფილების უფროსად, შემდეგ სპირტსახდელ საამქროს უფროსად. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებილი მეღვინეს წოდება. მიღებული ქონდა სხვადასხვა ჯილდო.

ხუნდაძე ალექსანდრე

დაიბადა 1886 წელს, სოფ. კალაგონში (ოზურგეთის მაზრა). სწავ-ლობდა ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსებულ წინამძღვაარ-თკარის სკოლაში 1883 წლის აგვისტოში დაარსებულ სასოფლო - სა-მეურნეო სკოლაში. სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ სხვა წარჩინებულებთან ერთად სკოლის ხარჯზე გაგზავნეს იალტის სა-ბალონო სკოლაში.

იალტის სკოლის დამთავრების შემდეგ ა. ხუნდაძე დაბრუნდა მშო-ბლიურ სოფელში და ნახევარი საუკუნე მოღვაწეობდა ოზურგეთის მაზრაში. მან ხელი შეუწყო მებალეობა-მევენახეობის განვითარებას აღმოსავლეთ გურიაში. ვაზის მყნობა, ღვინის ევროპული დაყენება ალექსანდრე ხუნდაძემ პირველმა შემოიტანა გურიის აღმოსავლეთ ნაწილში. მისი დამსახურებაა უძველესი ვაზის ჯიშების — ჩხავერისა და ალადასტურის შემონახვა. ალექსანდრე ხუნდაძის დახმარებით კალაგონელ მევენახეებს მოჰყავდათ ცოლიკაური.

1930 წელს საჭამიასერში ალექსანდრე ხუნდაძის ინიციატივით დაარსდა ღვინის ქარხანა, რომლის დირექტორიც გარდაცვალებამ-დე თავად იყო.

გარდაიცვალა 1953 წელს.



ჯაში გიორგი (გოგი) მანუილის ძე

საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითაების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდება, დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. ნათელი გონიერისა და ნიჭის პატრონს, ფუტკარივით მოფუსტუსეს, დინჯს ერისკაცობის ღვანლით გამორჩეულს - ასე ახასიათებდნენ მას მეგობრები. გიორგი ჯაშმა შთაბერა ახალი სიცოცხლე სოფელ შუაგანახლებაში გურიის უდაბნოს მამათა მონასტერს. მიიყვანა გზა, ლობე შემოავლო მონასტერს, რაიონში ბევრ სამვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. მან მართლაც დატოვა კვალი ნათელი.



ჯინჭარაძე კარლო ივლიანეს ძე

დაიბადა 1921 წელს. დაბა ჩოხატაურში. 1939 წელს დაამთავრა ჩოხატაურის საშუალო სკოლა. 1941 წლამდე მუშაობდა დაბის გამწვანების აგრონომად. 1941 წელს ჩაირიცხა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. 1946 წლიდან მუშაობს ჩოხატაურის სატყეო მეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

1964 წელს საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითაების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდება., აგრეთვე დაჯილდოებულია მედლებით.

უურნალი „საქართველოს ბუნება“ წერს, „მყნობის სამეცნიერო ექსპერიმენტულ სამუშაოებს ეწევა ჩოხატაურის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე - ინჟინერი კარლო ჯინჭარაძე. ის მყნობის სამუშაოებს ანარმოებს არა მარტო ნაყოფმსხმოიარე, არამედ წინვოვან მცენარეებზეც. მაგალითად მან პირველმა დაამყნო ვერცხლისებური ნაძვი აღმოსავლურ ნაძვზე, კავკასიურ სოჭზე და შედეგიც დადგებითი მიიღო. პირველმა გამოიყენა პრაქტიკაში „პლასტილინი“, როგორც მყნობის საშუალება, რამაც გამართლება პპოვა.“

ჩხიკვიშვილი იოსებ (ტელეგრაფისტი)

დაიბადა 1895 წელს, სოფ. გუთურში. დაამთავრა ოზურგეთის სამოქალაქო და გორის პედაგოგიური სასწავლებლები.

1916-17 წლებში მუშაობდა ქ. ჯულფას ტელეგრაფისტად. 1918 წელს ბათუმში, ხოლო 1921 წლიდან ჩოხატაურში. 1928 წლიდან განაგებდა ბათუმის კავშირგაბმულობის საოლქო კანტორას. გარდაიცვალა 1989 წელს თბილისში.

ხუნდაძე ევტიხი (გამომგონებელი)

მუშაობდა ქალაქ ბაქოში ნავთობის სარენებზე, 1920-30 წლებში თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში.

გამოიგონა ცეცხლის მოსაკიდებელი აპარატი. ნავთობის ამოღების საკონტროლო მანქანა, „პაპიროსის“ ავტომატიური სატენი.

მას ეკუთვნის ოცზე მეტი ძალზე მნიშვნელოვანი გამოგონება, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში დაინერგა. მოგვინებით რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ბერძენიშვილი თამარ

(პედაგოგი)

დაიბადა 1905 წელს, დაბა ჩოხატაურში. 1922 წელს დაამთვრა ჩოხატაურის ჰუმანიტარული ტექნიკური. ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო სოფელ გორაბერეულის ოთხწლიან შრომის სკოლაში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქალაქების ჭიათურის, ქუთაისის, ბათუმის სკოლებში მასწავლებლად. პარალელურად დაამთავრა ქალაქ ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის ფიზიკის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით, მიანიჭეს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

დუდუჩჩავა დიმიტრი ნესტორის ძე

(პედაგოგი)

დაიბადა 1898 წელს ჩოხატაურის რაიონში. 1930 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა ჩოხატაურის განათლების განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1934 წლიდან მუშაობას იწყებს განათლების სამინისტროს აპარატში. 1963 წელს მუშაობს განათლების მინისტრის თანაშემწედ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, მედლებით.



თავართქილაძე კასიანე

(პედაგოგი)

დაიბადა 1901 წელს ჩოხატაურის რაიონში სოფელი ხიდისთავში (ჭაჭიეთი). დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში, 1916 წელს სწავლა განაგრძო სოფელ ხიდისთავის დაწყებით სასწავლებელში. დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარია და გახდა სახალხო მასწავლებელი. 1923 წლიდან დაიწყო მასწავლებლობა. ასწავლიდა მათემატიკას, გურიის სხვადასხვა სოფლებში. 1931 წელს ჩაირიცხა

თსუ-ში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1936 წელს დაინიშნა სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის დირექტორად. 1937 წლიდან ამავე სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ. 1961 წელს მიანიჭეს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

თოდრია მიხეილ

დაიბადა 1912 წელს. დაბა ჩოხატაურში. საშუალო განათლება მიიღო ჩოხატაურის საშუალო სკოლაში. 1936 წელს დაამთავრა ქალაქ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. ის პედაგოგიურ მოლვანეობას ეწევა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. 1949 წლიდან ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგედ.

კალანდარიშვილი ოლია თეოფანეს ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1900 წ. ლანჩხუთის რაიონი სოფ. ქვიანში მღვდლის ოჯახში. 1917 წელს დაამთავრა ქალაქ ქუთაისის პროგიმნაზია. ჩოხატაურის რაიონში ის სხვადასხვა დროს მუშაობს დაწყებითი კლასების მასწავლებლად: ერკეთში, იანეულში, 1 საშუალო სკოლაში, ზემოფარცხემაში. დაჯილდოებულია მედლით მამაცური შრომისათვის და ლენინის ორდენით.



კალანდაძე ანიკო სოლომონის ასული
(პედაგოგი)

დაიბადა 1911 წელს სოფელ ხიდისთავში. 1931 წელს ჩაირიცხა თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე. 1937 წელს ინიშნება სოფელ შუასურების საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. განათლების განყოფილების ინსტრუქტორად. 1943 წელს სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის დირექტორია. ის სოფელს ჭირისუფლად, იმედად და ნუგეშად ჰყავდა. მისი ინიციატივით იგება სკოლის ახალი შენობა. 1976 წლამდე ხელმძღვანელობდა ამავე

სკოლას. ანიკო მოდისო იტყოდნენ და გზას უთმობდნენ.... ანიკო მობრძანდათ იტყოდნენ და ადგილს უთმობდნენ... ანიკო ლაპარაკობსო და სულგანაბული უსმენდნენ ტყბილ საუბარს მისას. წიგნიერი და გონიერი ანიკო კალანდაძე ორატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა, სამართლიანი იყო მისი „რისხვაც“ და დაყვავებაც, სიცილი -გადამდები. ის დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით, მინიჭებული აქვს სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება. უყვარდა პოეზია და თითონაც წერდა ლექსებს... „მდინარე გუბაზეული“... (ნაწყვეტი)

„მთის ნასლეტი ხარ და გაზაფხულის ფეთქვა,
გადმოჭრილხარ ველზე, რომ სიმღერა გეთქვა,
მოგიხურავს ნისლი, ლაზისტანის რიდედ.
შენი შესმა მინდა თუ არ მომერიდე.“



**გეველიძე მიხეილ
(პედაგოგი)**

დაიბადა 1927 წელს, სოფ. იანეულში. 1950 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი და იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში.

იყო სოფელ გორაბერეჟოულის 8 წლიანი სკოლის დირექტორი, სხვადასხვა დროს იყო ჩოხატაურის რაიკომის მეორე და პირველი მდივანი. პარტიის ჩოხატაურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა საპჭოს აღმასკომის მოადგილე, 1964 წლიდან გარდაცვალებამდე ჩოხატაურის განათლების განყოფილების გამგეა. მან დიდი ამაგი დასდო მომავალი თაობის აღზრდის, საქმეს, სკოლების მშენებლობისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. იყო შესანიშნავი ხელმძღვანელი, თავმდაბალი, გულისხმიერი. 1982 წელს მიენიჭა, საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

კეშელავა ზინა (პედაგოგი)

დაიბადა 1916 წელს, სოფ. კოხნარში (ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნია). მან დაწყებითი განათლება მიიღო კოხნარის გლეხთა ახალგაზრდობის 7 წლიან სკოლაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო შორაპნის ტექნიკურში.

1933 წლიდან მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის სოფ. საჭამიასერის სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. 1937 წელს შუასურების საშუალო სკოლაში, ხოლო 1938 წლიდან ზემოფარცხმის 8-წლიან სკოლაში, 1939 წლიდან ჩოხატაურის საშუალო სკოლაში. 1943 წლიდან სოფ. შუაფარცხმის დაწყებითი სკოლის გამგედ. გავლილი ჰქონდა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

კილასონია აგნესა სოლომონის ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1900 წელს. ქალაქ ბაქოს კურსდამთავრებულმა, 17 წლის გოგონამ, 1918 წელს დაიწყო სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში მუშაობა. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. შემდგომ ის სასწავლებლად წავიდა ქ. მოსკოვში, პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა 1937 წელს, საფუძვლიანდა შეისწავლა რუსული ენა, იყო კარგი პროფესიონალი, მომთხოვნი, პრინციპული და ამავე დროს უსაზღვროდ მოსიყვარულე მომავალი თაობის. უძლვებოდა რაიონში რუსული ენის მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების საქმეს. სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიონის სოფლის სკოლებში რუსული ენის მასწავლებლად, სოფელ ერკეთის საშუალო სკოლის დირექტორად. ა. კილასონია დაჯილდოებული იყო, “ლენინისა და ნითელი დროშის ორდენებით”. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ლომთათიძე პავლე სოფრომის ძე (პედაგოგი)

სოფელ ხიდისთავის (მეწიეთი) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელი. 1898 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის სასულიერო სემინარია. ცნობილ მოვლენების შემდეგ შეაწყვეტინეს თავი-

სი საქმიანობა. მთელი შესაძლებლობები მოახმარა მოსწავლეთა აღზრდის საქმეს. 1936 წლის 10 აპრილის დადგენილბის საფუძველზე მიენიჭა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება. ის ასწავლიდა ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონების სხვადასხვა სოფლებში.

მამალაძე ტარასი (პედაგოგი)

დაიბადა 1856 წელს სოფელ ხევში. 1879 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის სამასწავლებლო სკოლა. ტ. მამალაძემ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, დიდი წელილი შეიტანა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესწავლის საქმეში ნაშრომებია: „სამშობლოს სურათები“, „გურულთა ხალხური ჩვეულებანი და რწმენები“ და სხვა. ტ. მამალაძე იყო ცნობილი პედაგოგი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე.



მაჭავარიანი იოსებ დარისპანის ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1900 წელს, სოფელ ბუკისციხეში. დაამთავრა სოფელ ბუკისციხის ორკლასიანი სასწავლებელი. 1922 წელს დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. ამავე წელს დაიწყო მუშაობა სოფელ ბუკისციხის რვანლიან სკოლაში მასწავლებლად. 1931 წელს სწავლა განაგრძო თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1935 წლიდან მუშაობს საქართველოს სხვადასხვა რაიონში მასწავლებლად. 1942 წლიდან 1966 წლის ჩათვლით უწყვეტად მუშაობს სოფელ დაბლაციხის საშუალო სკოლაში. დაჯილდოებულია „წითელი დროშისა“ და „ლენინის“ ორდენით 1963 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.



მახარაძე ვასილა კირილეს ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1905 წელს სოფელ ვანში, პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო, 1921 წელს სწავლა განაგრძო ლანჩხუთის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, დამთავრებისთანავე დაინიშნა დაწყებითი კლასის მასწავლებლად თავისივე სოფელში. ის აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში. პედაგოგურ დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულა შრომისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება



ნიკოლაიშვილი ლაზარე ალექსანდრეს ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1901 წელს. დაამთავრა სოფელ ზემოხეთის ორკლასიანი სასწავლებელი. 1924 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სადაც მასწავლებლად მუშაობდა. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ როგორც ყოფილი მასწავლებელი, დაინიშნა სოფელ ზემოხეთის სკოლის დირექტორად, პარალელურად დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი კურსი. 1941 წელს გაიწვიეს სამამულო ომში. ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმის მასწავლებლობას. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

რამიშვილი ელენე მაქსიმეს ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1895 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდვანში, გლეხის ოჯახში. ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში დაამთავრა 1914 წელს. ის მუშაობს სხვადასხვა სოფლის სკოლაში რუსულ ენისა და გერმანული ენის მასწავლებლად. 1945 წელს დააჯილდოვეს უმაღლესი ჯილდოთი - “ლენინის ორდენით”.

ფოცხიშვილი აკაკი პარმენის ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1904 წელს სოფელ ხიდისთავში (ჭაჭიეთი) დაამთავრა სოფელ ჭაჭიეთის ორკლასიანი სასწავლებელი, სოფელ ხიდისთავის შვიდწლანი სკოლა (1922 წელს) და სწავლა განაგრძო ოზურგეთის გიმნაზიაში. 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1928 წლიდან მუშაობს რაიონის სოფლების სკოლებში. იყო სოფელების - ხიდისთავისა და ხევის საშუალო სკოლის დირექტორი. დაჯილდოებულია საპატიო მედლებით. მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ქინქლაძე ლიდა (პედაგოგი)

დაიბადა 1910 წელს. სოფელ მერიაში(ოზურგეთის რაიონი). სოფელ მერიის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მახარაძის (ოზურგეთი) პედაგოგიურ ტექნიკუმში, ამავე დროს მუშაობდა სოფ. ნატანების შვიდწლიან სკოლაში, დაწყებითი კლასის მასწავლებლად.

1936 წელს დაამთავრა ქალაქ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1939 წლიდან მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ნაბეღლავის შვიდწლიან სკოლაში. დაჯილდოებულია საპატიო მედლებითა და ორდენებით, მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

შარაშენიძე გიგო დავითის ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1848 წელს. სოფელ საყვავისტყეში, პატარა გიგოს წერა-კიოთხვა ბებიამ შეასწავლა. გიგომ დაამთავრა ქალაქ ქუთაისის სამეურნეო სკოლა, (ისწავლა რუსული წერა-კიოთხვა). ის ქუთაისიდან დაბრუნებისთანავე ოზურგეთის სასწავლებელში შეჰყავთ. გიგო შარაშენიძემ თავის სამოქმედო ასპარეზზად სკოლა აირჩია. ის პედაგოგიურ მოღვაწებას XIX საუკუნის 70-იან წლებში იწყებს. დიდი გაჭირ-

ვებითა და დაბრკოლებით იწყებოდა გურიაში დაწყებითი სკოლების მშენებლობა, გიგო შარაშენიძე სწორედ ამ პირველ მშენებელთა წარმომადგენელია.

შარაშიძე ალექსანდრე დავითის ძე (პედაგოგი)

დაიბადა და 1873 წელს სოფელ დაბლაციხეში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო იალტის ნიკიტინის საბალოსნო სასწავლებელში, დაამთავრა 1893 წელს. ამავე წელს დაინიშნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მებაღეობა-მებოსტნეობის მასწავლებლად. მან, თავის ძმა ერმილესთან ერთად სოფელ დაბლაციხეში გახსნა ორკლასიანი კერძო სასწავლებელი, ძმები სასწავლებელს საკუთარი მამულის შემოსავლით ინახავდნენ. 1934 წელს დაიწყო სოფელ დაბლაციხის საშუალო სკოლის მშენებლობა ის აქტიურად მონაწილეობს სკოლის მშენებლობაში. ალექსანდრე შარაშენიძე ლიტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა.

შარაშიძე ნათელა (პედაგოგი)

დაიბადა 1921 წელს სოფ. ჯვარცხმაში. 1938 წელს ჩაირიცხა თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და დაამთავრა წითელ დიპლომზე. ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მიენიჭა მათემატიკის მეთოდისტ მასწავლებლის წოდება. 30 წელი მუშაობდა რაიონის მათემატიკის მასწავლებლის, მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელად. იყო სადაბო საბჭოს ხელმძღვანელი. მუშაობდა 1 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დაჯილდოებულია „შრომის წითელი ორდენით“, მედლებით, საპატიო სიგელებით.

2003 წლის იანვარში დაავილდოვეს „დიდების ორდენით“



ჩიგოგიძე გერონტი იობის ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1916 წელს სოფელ ინტაბუეთში. მღვდლის (იობიოტიას ძე ჩიგოგიძის) ოჯახში. 1930 წელს დაამთავრა სოფელ ხიდისთავის შვიდწლიანი შრომის სკოლა და სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის 1 საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თ.ს.უ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ის მუშაობას იწყებს რაიონის სხვადასხვა სოფლებში მასწავლებლად. 1941 წლიდან 1946 წლამდე მონანილეობას იღებს დიდ სამამული ომში. ომიდან დაბრუნების შემდეგ ისევ აგრძელებს მუშაობას. 1953 წელს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები მათემატიკის მასწავლებლის კვალიფიკიის მოსაპოვებლად. მუშაობდა სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, ამავე სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ. დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლებით. 1979 წელს მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.



ჩხიკვიშვილი ტარიელ (პედაგოგი)

დაიბადა 1916 წელს სოფელ გუთურში. შვიდწლიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის პირველ პედაგოგიურ სასწავლებელში. 1935 წელს ჩაირიცხა თ.ს.უ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1946 წელს მუშაობას იწყებს სოფელ ერკეთის საშუალო სკოლაში. 1961 წელს ინიშნება ამავე სკოლის დირექტორად. შემდეგ მუშაობა განაგრძო გუთურის საშვალო სკოლაში. მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ჩხიკვიშვილი ზაქარია ფარნაოზის ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1899 წელს ჩოხატაურის რაიონი სოფელ გუთურში. ის სხვადასხვა დროს მუშაობს რაიონის სოფლების სკოლებში ქართული

ენის და ლიტერატურის მასწავლებლად, ხელმძღვანელობდა რაიონში ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეს. რაიონის სკოლების მზადებასა და კულტურული მშენებლობის დარგში აქტიური მონაწილეობისათვის 1941 წელს მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება. განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნისა“ და „წითელი დროშის“ ორდენებით.



ცენტერაძე დარეჯან გრიგოლის ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1926 წელს. სოფელ გორაბერეჟოულში. საშუალო სკოლი დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის „პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად. შემდგომ სასწავლო ნაწილის გამგედ და წლების მანძილზე ამავე სკოლის დირექტორად. 1968 წელს აირჩიეს მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის დელეგატად დაჯილდოებული იყო უამრავი სიგელითა და მედლით. 2002 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.



ცინცაძე ეთერი ონოფრეს ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1905 წელს, სოფელ ბუკისციხეში. სოფლის ორკლასიან სასწავლებლის დამთავრების, შემდეგ 1916 წელს სწავლა განაგრძო ჩოხატაურის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში. 1921 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის ქალთა გიმნაზია. მუშაობა დაიწყო ჩოხატაურის რაიონის სოფლების სკოლებში დაწყებითი კლასის მასწავლებლად: (ზემოსურები, შუასურები, ბუკნარი, საჭამიასერი), 1938 წელს საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება. 1949 წელს დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნისა“ და „ლენინის“ ორდენით.



ჭანიშვილი პარმენ გიგოს ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1884 წელს სოფელ ხიდისთავში (ზენობანი) ბაქოს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პარმენ ჭანიშვილი სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, პარალელურად ისმენდა ლექციებს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზეც. სწავლის დამთავრების შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში და იწყებს აქტიურ მოღვაწეობას განათლებისა და კულტურის დარღვევის. ის იყო კარგი პედაგოგი, ეროვნული კულტურის მოამაგე და ცნობილი ჟურნალისტი, მის სახელს უკავშირდება პირველი სახალხო თეატრის დაარსება ჩოხატაურში. მისი ინიციატივით დაარსდა უურნალი „სახალხო განათლება“ და დიდი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა მას. 1924-1930 წლებში კითხულობდა ლექციებს თ.ს.უ-ში 1946-1948 წლებში სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ის არის რამდენიმე წიგნის ავტორი, დიდი ღვაწლი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებას.

ჭკუასელი ალექსანდრე (საშა) (პედაგოგი)

დაიბადა 1899 წელს სოფელ მამულარში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1924 წლიდან 1930 წლამდე მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის სოფლ ზემოხეთის შვიდნლიან სკოლაში, ხოლო 1930 წლიდან 1971 წლამდე საჭამისაერის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. ალ. ჭკუასელი XX საუკუნის 20-იან -30-იან წლებში ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას. ახალგაზრდობის სწავლა-აღრწდი-სადმი დაუცხრომელმა ზრუნვამ, თავმდაბლობამ და მაღალმა კულტურამ ალექსანდრე ჭკუასელს ავტორიტეტი მოუხვეჭა საზოგადოებაში. დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.



ჯაყელი ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1862 წელს საყვავისტყეში. ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს ქალაქ თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში. 1884 წელს 22 წლის ჭაბუკი დაინიშნა ქალაქ შუშაში (აზერბაიჯანი) მასწავლებლად. მას გული სამშობლოსაკენ მოუწევდა და 1878 წელს, როცა ბათუმი გათავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან, ნიკო ჯაყელი სამუშაოდ ჩადის ამ ქალაქში. სწორედ აქ იყო საჭირო ქართველ მოღვაწეთა ენერგიული მუშაობა. საუკუნეების მანძილზე გამაპმადიანებულ ქართველებში ისევ უნდა გაღვიძებულიყო ეროვნული გრძნობები. XIX საუკუნის 80-იან წლებში ამ საქმეს ემსახურებოდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის იყო ნიკო ჯაყელი. ის აქტიურად იბრძვის გიმნაზიის გახსნისათვის ბათუმში მიუხედავად მეფის ხელისუფალთა წინააღმდეგობისა, გიმნაზია გაიხსნა და ინსპექტორად დაიიშნა ნიკო ჯაყელი. ის მოსწავლებს ზრდიდა პატრიოტული სულისკვეთებით. თავდადებით ებრძოდა სკოლებში გამეფებულ „რუსიფიკაციულ“ პოლიტიკას. შემდეგ ინიშნება ერთ-ერთი სკოლის დირექტორად, მან მთელი თავისი ენერგია შეალია მოსწავლეთა აღზრდას.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“, ერთ-ერთი პირ-ველი ეროვნულ-პოლიტიკური მემარჯვენენე მიმართულების ორგანიზაცია და პირველი პოლიტიკური დაჯგუფება, რომელმაც წამოაყენა საქართველოს სახელმწიფოებრვი დამოუკიდებლობის ლოზუნგი, ჯერ კიდევ 1890-იანი წლების დამდეგს დაარსდა. ორგანიზაცია შეიქმნა რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტების ეროვნულად განწყობილი ქართველი სტუდენტების მიერ. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ნიკო ჯაყელი.



ჯაში იპოლიტე (იპატი) სილიბისტროს ძე (პედაგოგი)

დაიბადა 1886 წელს, სოფელ ბასილეთში, მასნავლებლის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ ვანისქედის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ოზურგეთის სასულიერო გიმნაზიაში, ქალაქ გორში, დაამთავრა ქალაქ სოხუმის ორნლიანი პედაგოგიური კურსი. მასნავლებლობა დაიწყო 1902წლიდან. მუშობდა აფხაზეთის სხვადასხვა სოფელში. 1918 წლიდან მუშაობს სოფელ ბასილეთში. 1949წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. 1951 წელს მიენიჭა დამსახურებული მასნავლებლის წოდება.

ჯიბუტი ელენე ბარნაბის ასული (პედაგოგი)

დაიბადა 1902 წელს სოფ. საყვავისტყეში (აზნაურის ოჯახში). დაამთავრა ქალაქ ბათუმის ქალთა გიმნაზია. 1917 წლიდან მუშაობა დაიწყო სოფ. საყვავისტყის დაწყებითი სკოლის მასნავლებლად, შემდეგ დირექტორად. 1934 წელს რაიონის განათლების გამგის გადაწყვეტილებით გადაიყვანეს 1 საშუალო სკოლის მასნავლებლად. მინიჭებულიპქონდა საქართველოს სკოლის დამსახურებული მასნავლებლის წოდება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 1941-1945 წლებში დაჯილდოვდა მამაცური შრომისათვის.



გოგოლაძე დავით (სოსო) ნიკოლოზის ძე (ექიმი ქირურგი)

დაიბადა 1909 წელს ჩოხატაურის რაიონის ს. გოგლესუბანში. 1926 წელს დაამთავრა ჩოხატაურის სასულო სკოლა. 1927 წელს სწავლა განაგრძო ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1931 წელს.

1931-41 წლებში მუშაობდა ბოგდანოვსკის რაიონის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, ქირურგიული განყოფილების გამგედ.

1941-45 წლებში მონაწილეობდა მე – 2 მსოფლიო ომის ქვეითი დივიზიის წამყვან ქირურგად.

1945-1955 წლებში მუშაობდა ბოგდანოვსკის და ახალქალაქის რაიონების მთავარ ქირურგად.

1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჩოხატაურის რაისავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ და რაიონის მთავარ ქირურგად.

მის მიერ გაკეთდა ათასობით წარმატებული ურთულესი ქირურგიული ოპერაციები. იყო უმაღლესი კატეგორიის ქირურგი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. გარდაიცვალა 1996 წელს.



გურიელიძე ვახტანგ (ექიმი)

დაიბადა 1917 წელს სოფ. კოხნარში. 1937 წელს წარმატებით დაამთვრა ქალაქ ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი. იმავე წელს იგი ქალაქ ხაბარკოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა და სწავლობდა 1938 წლის ბოლომდე.

ი. სტალინის ჩარევით ვ. გურიელიძე ქალაქ თბილისში გადაიყვანეს სასწავლებლად.

ინსტიტუტის დამთვრებისთანავე ახალბედა ექიმი ფრონტზე გაიწვიეს და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე მედიცინის

კაპიტანი ერთგულად ასრულებდა თავის მოავლეობას.
 დემობილიზაციის შემდეგ მას დედაქალაქშიც კარგ სამსახურებს
 სთავაზობდნენ, მაგრამ გულმა მაინც მშობლიოურ ჩოხატაურისაკენ
 გამოუწია და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ენერგიულად ემსახურე-
 ბოდა ჯამრთელობის დაცვას. ის იყო რაიონის სანიტარული სამსახუ-
 რის მთავარი ექიმი.
 ლვანლმოსილი ექიმი ტრაგიკულად დაიღუპა 2007 წელს. დაკრძალუ-
 ლია სოფელ კოხნარში.



დოლიძე კუკური კალისტრატეს ძე (ექიმი ოტოლარინგოლოგი)

დაიბადა 1928 წელს ჩოხატაურში.


1956 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სა-
 მედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტე-
 ტი და მუშაობა დაიწყო სოფ. შუასურების საუბნო
 საავადმყოფოს გამგედ.

1959 -1962 წლებში მუშაობდა დაბლაციხის საე-
 ქიმო უბნის გამგედ. 1962 წლიდან ჩოხატაურის პოლიკლინიკის
 ოტოლარინგოლოგად, 1969 წლიდან რაიონული საავადმყოფოს
 ოტოლარინგოლოგად.

კარგი ექიმი, ბრწყინვალე ოპერატორი, რაიონის კოლორიტი.
 რომლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და გაძლიერდა ოტოლა-
 რინგოლოგიური კაბინეტი ჩოხტაურში.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

გარდაიცვალა 1999 წელს.



კალანდაძე ტატიანა იაკობის ასული (ექიმი)

დაიბადა 1899 წელს სოფელ ხიდისთავში, დაამთა-
 ვრა ჩოხატაურის უმაღლესი სასწავლებელი, შემ-
 დეგ ქალაქ თბილისის საფერმლო – საბეჭიაქალო
 ინსტიტუტი. 1927 წელს სწავლა განაგრძო თბი-
 ლისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1931
 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო ჩოხატაუ-

რის რაისავადმყოფოს ექიმ გინეკოლოგად. 1932 წელს ნიშნავენ რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად. სადაც იმუშავა 30 წელი. ტატიანა კალანდაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სსსრ დამსახურებული ექიმის წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, სხვადსხვა მედლებითა და სიგელებით. გარდაიცვალა 1987 წელს.



მარი სულიკო მიხელის ძე
(ექიმი კარდიორევმატოლოგი,
რეტინოლოგი)

დაიბადა 1922 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში.

1943 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1943-1945 წლებში მუშაობდა ქ. თბილისისა და ქ. წარკოვის ევაკუაციონულში.

1945 წლიდან მუშაობდა ჩოხატაურის სამაღლარიო – ტროპიკულ დაავადებათა სადგურის გამგედ, სანეპიდსადგურის მთავარ ექიმად, რაიონული პოლიკლინიკის კარდიოლოგად, რაიონული საავადმყოფოს რეტინოლოგად, თერაპევტული განყოფილების გამგედ, რაიონის მთავარ ექიმად.

მისი მონდომებითა და ძალისხმევით გაიმართა სრული სიმძლავრის რენტგენოლოგიური, კარდიორევმატოლოგიური, რენტგენო-ფლურორგაფული სამსახურები.

იყო უმაღლესი კატეგორიის კარდიოლოგი, ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი, ლირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2000 წელს.



გეგრელიშვილი ზაქრო ვალდიმერის ძე
(ექიმი)

დაიბადა 1919 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. შუაფარცხმაში.

1940 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაწყო

ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზემოსურების საექიმო ამბულატორიაში მთავარ ექიმად. 1955 წლიდან მუშაობა განაგრძოს სოფ დაბლაციხის საექიმო ამბულატორიაში ექიმ თერაპევტად, პარალელურად მუშაობას განაგრძობდა სასწრაფო დახმარების სადგურში მორიგე ექიმად.

იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.
მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი.
გარდაიცვალა 1990 წელს.



სანიკიძე ტატიანა დავითის ას. (ექიმი)

დაიბადა 1901 წელს, სოფ. ზემოსურებში, მრავალშვილიან ოჯახში. 9 წლის ასაკში, 1909 წელს, გააგზავნეს სასწავლებლად პეტერბურგში კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, რომელსაც მფარველობდა ნიკოლოზ II. ტატიანამ ეს ინსტიტუტი დაამთავრა 1917 წელს. იგი კარგად ფლობდა რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს, ამიტომ რამდენიმე წლის განმავლობაში ასწავლიდა ქალაქებში ხაშურსა და სამტრედიის გიმნაზიებში ფრანგულ და გერმანულ ენებს.

1930 წელს ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში, 1935 წელს დაასრულა სწავლა, ორი წლის განმავლობაში მუშაობდა კურორტოლოგიის ინსტიტუტში გინეკოლოგად. 1950 წლიდან პენსიაზე გასვლამდე ტატიანა მუშაობდა კურორტ წყალტუბოს სანატორიუმში გინეკოლოგად.

ტატიანას მეუღლე გახლდათ მიხეილ ჩხიკვაძე, ცნობილი პროვიზორი და მეცენატი. მას თბილისის სხვადასხვა რაიონში ჰქონდა 18 აფთიაქი. მიხელმა მოსკოვში დაამთავრა უნივერსიტეტი და 1918 წელს ჩამოაყალიბა პირველი ქართული მილიცია, რომელიც იცავდა მოსკოვს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებაში მიხეილ ჩხიკვიშილმა შეიტანა თავისი წვლილი და წერილობითი მადლობა დაიმსახურა პატრიარქისაგან.

სხვიტარიძე ნიკოლოზ (ექიმი)

დაიბადა 1891 წელს სოფელ ზემოხეთში. 1935 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ხობის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ. ჩოხატაურის რაიონის ხელმძღვანელთა თხოვნით ის სამუშაოდ ჩამოდის ჩოხატაურში სოფელ ზემოხეთის ექიმადგულისხმიერმა ექიმმა მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ნიკო ექიმს (ასე მიმართავდნენ მას) უყვარდა თავისი პროფესია. ის არა მარტო კარგი ექიმი, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც იყო. აღზარდა ხუთი შვილი, მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში. გარდაიცვალა 1958 წელს.



ჩხიკვიშვილი ევგენია (ექიმი)

დაიბადა 1920 წელს, დაბა ჩოხატაურში. 1936 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიანო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1941 წელს. 1941 წლიდან მობილიზებული იყო საბჭოთა არმიის რიგებში. 1941-1943 წლებში ფრონტზე იმყოფებოდა, როგორც ქირურგი ორდინატორი, ხოლო 1943 წლიდან კვალიფიკაციის გავლის შემდეგ მუშაობდა ექიმი-რენტგენოლოგად და რენტგენის კაბინეტის გამგედ ფრონტის ჰოსპიტალში. 1947 წლიდან ნაყოფიერად მუშაობს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტსა და სხვადასხვა კლინიკებში. 1969 წელს მას სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. ევგენია ჩხიკვიშვილი იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებაში ლენინგრადის ონკოლოგიურ ინსტიტუტში ახალი მეთოდების ათვისების მიზნით რენტგენო-რადიოლოგიაში. იყო მომზადებული და ერუდირებული სპეციალისტი სიმსივნეთა რენტგენო-დიაგნოსტიკაში და თერაპიაში. ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ონკოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობაში, სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ინსტიტუტში, ისე ონკოლოგთა საზოგადოების სხდომებზე. სამი წლის განმავლობაში მან ორჯერ მიიღო მონაწილეობა საკავშირო ონკოლოგიურ კონფერენციაში. მონაწილე-

ობდადა ხელმძღვანელობდა აგრეთვე ინსტიტუტის გამსვლელ სესიებს, ატარებდა კონსულტაციებს, გულმოდგინედ ამზადებდა ჩამოსულ სპეციალისტებს და კითხულობდა ლექციებს ინსტიტუტში.
გარდაიცვალა 1980 წელს.

ჩხიკვიშვილი ნონა (ექიმი)

დაიბადა 1928 წელს დაბა ჩოხატაურში. 1945 წელს ჩაირიცხა ქალაქ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე, დაამთავრა 1949 წელს.

1949-1952 წლებში მუშაობდა ექიმ-სტომატოლოგად ქ. ყვარელში, ხოლო 1952-1956 წლებში ქ. ყვარელის სანიტარულ-ჰიგიენურ სადგურში ექიმ-ბაქტერიოლოგიის თანამდებობაზე. 1956 წლიდან ქ. თბილისის მე-4 საავადმყოფოს კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგედ.

1957-1960 წლებში ქ. მცხეთის სანიტარულ-ეპიდემიურ სადგურში ექიმ-ბაქტერიოლოგიის თანამდებობაზე მუშაობდა. 1961-1976 წლებში კანისა და ვენერულ სწეულებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშავის თანამდებობაზე და ასევე დერმატო-ვენეროლოგიურ კლინიკურ დისპანსერში ექიმად. 1984-1996 წლებში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარ სამმართველოს 1 საავადმყოფოს პოლიკლინიკის კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიის ექიმ-ლაბორანტად.

ნონა ჩხიკვიშვილი იყო ექვსი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან ერთი დაბეჭდილია.

გარდაიცვალა 1996 წელს.



**ცინცაძე ნათელა არჩილის ასული
(ექიმი მეან-გინეკოლოგი)**

დაიბადა 1929 წელს ქ. მახარაძეში. (ოზურგეთი) მამა არჩილ ცინცაძე მუშაობდა ქ. ბათუმში საქ. კ. პ. (ბ) მდივნად.

1938 წელს იგი დააპატიმრეს. რის შემდეგ ოჯახს არავითარი ცნობა არ მიუღია.

1956 წელს რეაბილიტირებული იქნა აჭარის უმაღლესი სასამართლოს მიერ.

ნათელა ცინცაძემ 1948 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ჩოხატაურის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე.

1955 წლიდან მუშაობა დაიწყო, ჩოხატაურის სამშობიარო სახლის მიკროპედიატრად. 1958 წლიდან გადამზადების კურსის გავლის შემდეგ დაინიშნა ამავე სამშობიაროს მეან-გინეკოლოგად მუშაობს.

1970 წლიდან მთავარ ექიმად. 1985 წელს მიენიჭა I კატეგორიის მეან-გენეკოლოგის კვალიფიკაცია, 1999 წელს დაჯილდოვდა ლირსების ორდენით.

ნიჭიერი ექიმი კარგი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. კარგი მეუღლე და დედა, ლირსეული ქალბატონი მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჩოხატაურის სამშობიარო სახლის მაღალი კვალიფიკაციით გამორჩეული ერთიანი გუნდი, რომელიც წარმატებით ემსახურებოდა რაიონის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას.

გარდაიცვლა 2006 წელს.



ძელაძე ილია ანტონის ძე (ექიმი)

დაიბადა 1898 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ. ბურნათში. პირველი დაწყებითი სწავლა ქალაქ ქუთაისის გიმნაზიაში მიიღო. შემდეგ სწავლას აგრძელებს ქალაქ კიევის ფარმაცევტულ ინსტიტუტში. დამთავრების შემდეგ გადმოდის ქალაქ თბილისში და ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში. იყო უროლოგიის კლინიკის ასპირანტი, მაგრამ ოჯახური პირობების გამო გადმოდის ჩოხატაურში სამუშაოდ.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა რაიონის მთავარ ქირურგად და ჯანდაცვის განყოფილების გამგედ. ი.ა.ძელაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სსსრ დამსახურებული ექიმის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და ნითელი ვარსკვლავის ორდენით და სხვადასხვა მედლებით. გარდაიცვალა 1964 წელს.

ცხომელიძე თედორე (ექიმი)

დაიბადა 1882 წელს, სოფელ ბასილეთში. დანტისტ ნ. კამაევთან და ჰეინესთან შეისწავლა კბილის ტექნიკოსობა, სპეციალური გამოცდები ჩააბარა ქალაქ ხარკოვში და მიიღო დანტისტის წოდება. იყო პირველი ქართველი კბილის ტექნიკოსი. გარდაიცვალა 1952 წელს.

შარაშენიძე სევერიან (ექიმი)

დაიბადა 1889 წელს, სოფელ ბუკისციხეში. 1914 წელს დაამთავრა ქალაქ კიევის უნივერსიტეტის სამედცინო ფაკულტეტი. გარდაიცვალა 1954 წელს.



დოლიძე თენგიზი (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი)

დაიბადა 1937 წელს, სოფ. დაბლაციხეში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა სოფელ დაბლაციხის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1968 წელს მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, მოგვიანებით კი დოქტორისაც. იგი 35 სამეცნიერო გამოკვლევის ავტორია. მათ შორის 2 გამოგონებაა ხოლო 3 დამხმარე სახელმძღვანელო. თ. დოლიძე თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პლეადის ღირსეული წევრი გახლდათ. თენგიზ დოლიძე 2005 წელს გარდაიცვალა, (დაკრძალულია მშობლიურ სოფელში).

დოლიძე კარლო

დაიბადა სოფ. ამალლებაში, 1919 წელს. დაამთავრა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. შემდეგ სწავლობდა ქალაქ მოსკოვიში და დაიცვა დისერტაცია დოქტორის

სარისხის მოსაპოვებლად, ხოლო მოგვიანებით დოქტორის სარისხიც მიენიჭა.

წლების მანძილზე ის მუშაობდა საქართველოს აჭარის საოლქო კო-მიტეტის პირველ მდივნად, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომი-ტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

1961-1970 წლებში ხელმძღვანელობდა ქალაქ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს.

მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. კარლო დოლიძე გარ-დაიცვალა 1986 წელს.

თოდრია ოლღა (ოლია) თომას ას

დაიბადა 1899 წელს სოფელ მოედანას (იანეული) სწავლის დასრულების შემდეგ ის ქალაქ ბათუმის ქალთა პედაგოგიურ სასწავლებელს ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ აჭარაში საგანმანათლებლო სა-ქმიანობის ერთ-ერთი მესვეურიც იყო, წლების მანძილზე იყო განათ-ლების სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, დროდადრო კომისრის მოვალეობასაც წარმატებით ასრულებდა. ის 1957 წელს გარდაიცვალა.

მარი იაკობ პატრიკის ძე

დაიბადა 1879 წელს. იურისტი და აგრონომი ყოფილა. ძმებთან გა-ყრისა და ფულის მიღების, შემდეგ ესპანეთში გადავიდა საცხოვრე-ბლად, ცოლად შეირთო ესპანელი ქალი, რომელსაც ფაკუნდა ერქვა. ბოსტნეულის თესლებით და კულტურული მცენარეთა ნერგების კო-მერციის მიზნით, ცოლ-ქმარს ოდესასა და ყირიმშიც უცხოვრიათ. შეეძინათ ქალ-ვაჟი. 1922 წელს საქართველოში გადმოვიდნენ სა-ცხოვრებლად (თბილისში). თბილისში ისინი შეავინწროვეს და ჩამო-დიან გურიაში. იაკობ მარმა თავად გურიელს გაუშენა ყვავილების ბალი, მეურნეობაში სიახლეები შეუტანია ამის გამო ის პატივისცე-მით სარგებლობდა თავადის კარზე.

იაკობს გარდაეცვალა მეუღლე და ცოლად მოიყვანა გურული ქალი აღათი მაღულარია (დედით შარაშიძე) მათ შეეძინათ შვილი ნიკო მარი.



ჩხიკვიშვილი დავით იოსების ძე

დაიბადა 1921 წელს სოფელ გუთურში. მშობლებმა, მათი ცხოვრების ნესმა, მათმა იდეალებმა და ოჯახურმა გარემომ გადამწყვეტი როლი შეასრულეს დავით ჩხიკვიშვილის პიროვნების ჩამოყალიბებაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქალაქ მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში. დაიწყო დიდი სამამულო ომი ის ჩაება ომის ქარცეცხლში. დ. ჩხიკვიშვილს სწავლა დედის ზნეობრივი სისპეტაკე, მისი მფარველი ძალისა. ომის მთელ მანძილზე დედის შეკერილი პერანგი არ გაუხდია. დ. ჩხიკვიშვილი იყო მფრინავი. მან დაწერა მხატვრუ-დოკუმენტური ნოველა „დედის ხელით შეკერილი პერანგი.“ ომის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა ჰუმანიტარული განათლება მიეღო, იგი „პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში“ ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. დ. ჩხიკვიშვილი ცნობილია როგორც XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურის დიდი ქომაგი. ის წლების განმავლობაში მუშაობს სახელმწიფო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს განყოფილების გამგედ, კულტურის მინისტრად, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. არის რამდენიმე სამეცნიერო თემის ავტორი. 1981 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ჩხიკვიშვილი იოსებ თომას ძე

დაიბადა 1895 წელს სოფელ გუთურში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1915 წელს. ფოსტალიონობიდან, კავშირგაბმულობაში გადაინაცვლა 1928 წლიდან ოზურგეთისა და ჩოხატაურის კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების უფროსია. ის მუშაობდა ქალაქ ბათუმში, 1931 წლამდე იყო კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული. 1943 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, 1945 წელს „მედლით კავკასიის დაცვისათვის“,



ჩხიკვიშვილი ზურაბი

(ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი)

დაიბადა 1933 წ., დაბა ჩოხატაურში. 1954 წ. ჩაირიცხა საქართველოს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე, დაამთავრა 1961 წ. იმავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით

ინსტიტუტში.

1967 წ. დაიცვა დისერტაცია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

1968 წ. მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

1959 წლიდან მუშაობს სხვადასხვა რთულ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

არის მრავალი შრომის ავტორი. გარდაიცვალა 1988 წ.



ჩხიკვიშვილი ირაკლი

(ფილოსოფიის დოქტორი)

დაიბადა 1920 წელს, სოფ. გუთურში. 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1946 წელს მან დაიცვა დისერტაცია ხარისხის მოსაპოვებლად.

1949 წელს აირჩიეს საქართველოს კპ ბათუმის საოლქო კომიტეტის მდივნად. კითხულობდა ლექციებს ქალაქ ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ის მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1953 წელს დაინიშნა გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქტორად.

1964 წლიდან სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა ქალაქ მოსკოვში.

სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1978 წელს მიენიჭა სსრ კავშირის პრემია.



ჩხიკვიშვილი ლეონიძე (ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი)

დაიბადა 1904 წელს, სოფ. დაბლაციხეში. მან 1933 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სხვადასახვა წლებში ის მუშაობდა მშობლიური სოფლის 4 წლიანი შრომის სკოლის გამგე-მასწავლებლად, მუშაობდა რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ჩოხატაურის რაიკომის პირველ მდივნად, მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატში სამმართველოს უფროსად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოქმედებისა და თესლბრუნვების სამმართველოს უფროსად. 1960 წლიდან მუშაობდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1965 წ. დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1938-1948 წლებში იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დაჯილდოებული იყო “საპატიო ნიშნის” ორდენითა და მედლებით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მოღვაწეთა გამოფენის 3 მედლით.

გარდაიცვალა 1979 წელს.



ჩხიკვიშვილი ცოტნე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)

დაიბადა 1927 წელს, სოფელ დაბლაციხეში. სწავლობდა სოფელ დაბლაციხის საშუალო სკოლაში. 1944 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1949 წ. ის მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოს პოლიკლინიკურ გაერთიანებაში ექიმ-ნევროლოგად.

1952 წ. ჩააბარა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგაც გააგრძელა მუშაობა ამავე ინსტიტუტის ნერვულ სწეულებათა კათედრაზე.

ცოტნე ჩხიკვიშვილმა საექიმო კარიერის პირველივე წლებიდან მიიქცია საზოგადოების ყურადღება, როგორც აკად. პეტრე სარაჯიშვილის ნევროლოგიური სკოლის ერთ-ერთმა უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა.

დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა 1957 წელს, ხოლო სადოქტორო დისერტაცია - 1969 წ.

1968-1972 წწ. იგი ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კათედრის დოცენტი, 1972-1981 წწ. კათედრის პროფესორი, ხოლო 1981 წლიდან გარდაცვალებამდე - ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგე.

ცოტნე ჩხიკვიშვილი იყო მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის ერთერთი დამფუძნებელი და წევრი.

იგი არის აგრეთვე ქართული კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ინფორმაციული პათოლოგიის კლინიკურმა კონცეფციამ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა. მისი მოღვაწეობის დიაპაზონის შესაფასებლად საქმარისია ჩამოვთვალით ორგანიზაციები, რომელთა წევრიც იგი იყო: ნევროლოგთა საზოგადოების ევროპული ფედერაციის ვეგეტატური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის, სტრესის მენეჯმენტის საერთაშორისო ასოციაციისა და სხვა საპატიო და საპასუხისმგებლო ჯგუფების წევრი.

ის იყო 210-ზე მეტი სამეცნიერო და მრავალი პუბლიცისტური შრომის ავტორი. მათ შორის 4 მონოგრაფია. სამწუხაროდ გამოუცემელი დარჩა მისი ლექციების ციკლი კლინიკურ ნევროლოგიაში და კლინიკური ნევროლოგიის სახელმძღვანელო. მისი შრომები დაბეჭდილია მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო უურნალში.

ბატონი ცოტნეს მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მომზადებულია რამოდენიმე ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ცოტნე ჩხიკვიშვილი საფუძვლიანად იცნობდა ლიტერატურასა და მუსიკას. სამწუხაროდ დაიკარგა მისი თარგმანები (ესენინის, ბლოკისა და ცვეტაევას ლექციებისა).

გარდაიცვალა 2001 წელს.

ჭკუასელი ნოდარი

დაიპარა ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საბჭოს სოფელ მამულარში 1928 წელს. 1946 წელს დაამთავრა სოფ. საჭამიასერის საშუალო სკოლა და სხვადასხვა გააგრძელა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დაამთავრა 1951 წელს. მუშაობა დაიწყო სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

ახლგაზრდა შემოქმედს შესაფერისი სარბიელი შეხვდა. მაღალკვალითუციური კადრები, გულისხმიერი დირექტორი და ცოდნისმოყვარე ბავშვები. ნოდარი დიდი ენთუზიაზმით ჩაეხა საგანმანათლებლო საქმიანობაში და საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურა.

განათლების რაიონულმა განყოფილებამ ადრევე შეამჩნია ახალგაზრდა სპეციალისტის მონდომება და მას საჭამიასერის საშუალო სკოლის დირექტორობა შესთავაზა. იგი მონდომებით შეუდგა მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობის შესრულებას. ნოდარ ჭკუასელმა ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამეცნიერო საბჭოს დახურულ სხდომაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „მხატვრული ლიტერატურის გამოყენება საქართველოს ისტორიის სწავლებაში“, რაც მაღლე დაამტკიცა საკავშირო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სააგესტაციო კომისიამ და მას გადაეცა დიპლომი. ახალგაზრდა მეცნიერის ნაშრომს მიეცა მაღალი შეფასება და აღინიშნა, რომ იგი დაეხმარება ისტორიის მასწავლებლებს სწავლების დროს.

ნოდარ ჭკუასელი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმიანობის ლირსეული ხელმძღვანელი იყო. ახსოვთ სოფ. საჭამიასერებლებს მრავალი კეთილი საქმე, რომლის მოთავე და შემოქმედი ნოდარი იყო. ის ყოველთვის ენთუზიაზმით და მონდომებით ასრულებდა თავის მოვალეობას.

1973 წელს ნოდარი ჭკუასელი ოჯახით საცხოვრებლად გადადის ქ. თბილისში და აგრძელებს პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ მუშაობას 154-ე. საშუალო სკოლაში (იყო დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი). გატაცებით მუშაობდა სადისერტაციო თემაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. კითხულობდა ლექციებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. გარდაიცვალა 2002 წელს.

ხუნდაძე გიორგი

(მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)

დაიბადა 1906 წელს. ის იყო ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოკტორი, პროფესორი. დაამთავრა თსუ-ის სამკურნალო ფაკულტეტი. 1933-41 წწ. მუშაობდა ლენინგრადში ი. ჯანელიძესთან ერთად. სამამულო ომის დროს ის იყო სამხედრო ჰოსპიტალის ქირურგი, განყოფილების უფროსი. 1946-51 წწ. მუშაობდა მოსკოვში იუდინ-თან ერთად. 1954-1979 წწ. იყო თბილისის ექიმთა დახმარებელის ინსტიტუტის დირექტორი. ამავე დროს განაგებდა ინსტიტუტის ანესთეზიოლოგიისა და ქირურგიის კათედრებს. დაამუშავა და დანერგა ხელოვნური საყლაპავი მილის შექმნის ორიგინალური მეთოდი. 1984წ მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. იყო უნგრეთის და სერბეთის ქირურგიული საზოგადოების საპატიო წევრი. საქართველოს სსრ VI და VII მოწვევის უახლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენებით. აქვს უამრავი ნაშრომი გამოქვეყნებული.

ხუნდაძე ფატი

(ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი)

დაიბადა 1892 წელს, სოფელ საჭამიასერში ქართველი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. 1912 წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ფატიმ სწავლა განაგრძო პეტროგრადის ბესტუშევის სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე.

1920 წელს საქართველოს მთავრობამ ფატი ხუნდაძე და მისი და-ძმა საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა. გერმანიაში შეისწავლა სამი ევროპული ენა: გერმანული, ფრანგული და ინგლისური.

1925 წელს ფატი ხუნდაძემ მიუნხენში წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მოსწავლეთა შეკითხვების ფსიქოლოგია“ და დოკტორის ხარისხით დაბრუნდა საქართველოში. მან მუშაობა დაიწყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ახალ გახსნილ კვლევით ინსტიტუტში ექსპერიმენტული ფსიქოლოგის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ მეთოდისტად ამავე ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის განყოფილებაში.

კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დღიდან იყო დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომელი.

დაჯილდოებულია სხვადასხვა სიგელებითა და მედლებით.

ხუნდაძე ტრიფონ

(ისტორიულ მეცნიერებათა პროფესორი)

დაიბადა 1889 წელს სოფელ საჭამიასერში. დაამთავრა ქალაქ ქუთაისის ქართული გიმნაზია, ქალაქ მოსკოვის უნივერსიტეტი და დაბრუნდა ქუთაისში. 1919 წლიდან ის პედაგოგად მუშაობდა ქ. თბილისის გიმნაზიასა და ჰუმანიტარულ ტექნიკუმებში. 1930 წლიდან კი უმაღლეს სკოლაში, 1945-59 წლებში საქართველოს სსრ-ის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში. მისი კვლევის საგანი იყო XIX-XX საუკუნის დასაწყისი, საზოგადოებრივი და სახალხო განათლების ისტორია. ისტორიკოსი, პედაგოგი, ისტორიულ მეცნიერებათა პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ასე რჩება ტ. ხუნდაძე ქართველ მეცნიერთა ნუსხაში.

ჯიბუტი რევაზ

(ფიზიკოსი)

დაიბადა დაბა ჩოხატაურში, 1934 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. ის იყო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე.

1962-64 წლებში ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული განყოფილების ხელძლვანელი და კათედრის გამგეა.

1977 წელს მიენიჭა პრემია ნაშრომებისთვის „მაღალი რიგების კვანტიტატული მსუბუქი ბირთვების ფოტო გახლეჩის თეორიაში“.

**„სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია
ვიდრე დალხინება და დღესასწაული.“**
ნოდარ დუმბაძე



ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე

დაბადა 1917 წელს 29 იანვარს. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მოსაზრებულობით, სიმკვირცხლით, ფიზიკური სიძლიერით, თანატოლთა გადმოცემით ყოფილა მეთაური სიმღერის წამონ्पებაშიც. 1930 წელს ამთავრებს საშუალო სკოლას და სწავლას განაგრძობს ჩოხატაურის სააბრეშუმო ტექნიკუმში, 1933 წელს სოფელ გორაბერეულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

ის ხშირად ამბობდა; „ძველი თაობის წარმომადგენელთა წინაშე ფიცს ვდებ სიცოცხლესაც არ დავიშურებ ჩემი საყვარელი სამშობლოსათვის.“ ჭიჭიკო ბენდელიანი სწავლას აგრძელებს ქალაქ სევასტოპოლის საავიაციო სასწავლებელში. სასწავებელში ასე ხასიათდებოდა: პირველი ფიზკულტურელი, მომღერალი, მოცურავე, ტანმოვარჯიშე და ფეხბურთელი. უაღრესად თავაზიანი, კეთილშობილი. პირველი შემამონმებელი გაფრენის დროს უთხრეს. „ივარებ მფრინავად, უნარი გაქვს.“ მის ხელში თვითმფრინავი ცოცხალ არსებას ჰეგვდა.

სამწყობო დახასიათებაში წერია; „ჭ. ბენდელიანი კარგად არის განვითარებული, თეორიულად კარგად მომზადებული, შრომისუნარიანი, ფრენაში აქვს ზუსტი და თანაზომიერი მოძრაობა, საუკეთესო ორიენტირება, რთულ ვითარებებში იღებს სწორ გადაწყვეტილებას.“

სწავლის დაამთავრების შემდეგ მიიღო ოფიცირის წოდება. ის ინიშნება ქალაქ კიევის საპარაო დაცვაში. 1941 წელს დაიწყო გერმანია სსრკ მით, ჩაება ჭიჭიკო ბენდელიანი ომის ქარცეცხლში. მისი საბრძოლო გზა მეტად მდიდარი და დიდია. პირველი საბრძოლო ჯილდო იყო - წითელი დროშის ორდენი, ჯილდოების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1944 წელს მდინარე ბუგის გადალახვისას ქალაქების ხოლმისა და ლიუბლიანის დაკავებასთან ბრძოლაში ბენდელიანის ჯგუფს დავალებული ჰქონდა მოიერიშეთა თანხლება და დაფარვა, უთანასწორო ბრძოლაში გმირი ჭიჭიკო ბენდელიანი დაიღუპა.

სარდლობის მიერ დაწერილ დახასიათებაში წერია: „საბჭოთა კავშირის გმირს, გვარდის მაიორ ჭიჭიკო ყაისარის ძე ბენდელიანს ომის დაწყებიდან ააქვს 410 საბრძოლო გაფრენა“. სიკვდილის შემდეგ, მამაცობისა და გამბედაობის გამოჩენისათვის მიენიჭა მთავრობის ჯილდო სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი. 2008 წლის მაისში გმირის ნეშტი ჩამოასვენეს სამშობლოში, დაკრძალეს ქალაქ თბილისში.

ბერძენიშვილი ნამეტია

დაიპადა 1891 ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის სოფ. შუაფარცხმაში. იყო მშობელთა მეეცხრე შვილი, ამიტომ დაარქვეს მშობლებმა რუსუდან ჯიბლაძემ და ანტონ ბერძენიშვილმა ნამეტია.

ტფილისის უნივერსიტეტის გახსნისთანავე ის გახდა საბუნებისმეტყველო (სამედიცინო) ფაკულტეტის სტუდენტი, მაგრამ II კურსიდან ნამეტიამ სწავლას თავი დაანება, რადგან გათხოვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჯავშნიანი მატარებლის მეთაურზე - ვალოდია გოგუაძეზე და მხარში ამოუდგა მას დამოუკიდებელი საქართველოს მტრების წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში.

1921 წლის თებერვალ-მარტის მძიმე თავდაცვით ბრძოლებში საბჭოთა რუსეთის წითელი XI არმიის წინააღმდეგ, ვალოდია გოგუაძე მძიმედ დაიჭრა და თანამებრძოლებმა გადაიყვანეს ოსმალეთში და სამკურნალოდ დააწვინეს სტამბოლის ფრანგულ საავადმყოფოში. ნამეტია დიდი სიძნელების გადალახვით ჩავიდა სტამბოლში, რათა დაჭრილი მეუღლისათვის მოევლო. მან მალე წამოაყენა ფეხზე ვალოდია და ისინი რუმინეთ-პოლონეთის გავლით 1923 წელს ჩავიდნენ პარიზში, თავი შეაფარეს ლევილის მამულს.

მათ ლევილში, თავიანთ ეზოში გაუშენებიათ საუკეთესო ნაკვეთი, გურულ ყაიდაზე მოუწყვიათ: ჰყოლიათ ფუტკარი, ძროხები, აყენებდნენ ღვინოს და მასპინძლობდნენ ემიგრანტ მეგობრებს.

ნამეტია და ვალოდია თავის მუშაობის ნაყოფს ეჩოსავით სულ თავისკენ კი არ მიითლიდნენ, არამედ ხშირად აპურებდნენ გაჭირვებულ ქართველებს და იჩენდნენ უდიდეს ქართულ სტუმართმოყვარეობას. შეიძლება ითქვას, რომ ემიგრაციაში არ იყო კაცი, რომელსაც არ ეგე-

მა მადლიანი ხელით გაკეთებული ქართული კერძები. სამწუხაროდ, ვალოდია მძიმე ავადმყოფობის გამო ადრე გარდაიცვალა. ნამეტია ქვრივობამ ვერ გატეხა. მან შრომა გააორკეცა, ოჯახი არ წაქცია, უვლიდა ლევილში მყოფ მოხუც ქართველებს. წლების განმავლობაში მას ირჩევდნენ მამულის გამგედ, რომელსაც გონიერად, დიდი მოჭირნეობით განაგებდა. ყველა სცნობდა მის ავტორიტეტს და ნიშნად სიყვარულისა და პატივისცემისა, ნამის სახელით იხსენებდა. დიახ, ნამო გახლდათ ქართველი მანდილოსანი, რომელიც რჩეულთა გუნდს ეკუთნოდა. ნამო ყველა ქართველის გულში თესავდა სამშობლოს, ოჯახისა და ერთობის სიყვარულს.

აღსანიშნავია ნამეტიას დიდი ღვანლი ლევილის ქართული სასაფლაოს-უცხოეთში ქართული ეროვნული პანთეონის დაარსებაში, მან, ქართველ თანამოაზრეთა დახმარებით, შეისყიდა მინა სასაფლაოსათვის.

ნამეტია ბერძენიშვილი-გოგუაძისა გარდაიცვალა 97 წლის ასაკში, 1988 წელს. დაკრძალულია მეუღლის გვერდით, ლევილის სასაფლაოზე.

ბურჭულაძე მაკერი

დაიბადა 1899 წელს, სოფელ სამებაში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა ოზურგეთის გიმნაზიაში, შემდეგ კი პეტროგრადში საინჟინრო ფაკულტეტზე.

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის დადგომის დროს მან მიატოვა სწავლა და დაბრუნდა საქართველოში. ჩაირიცხა საარტილერიო შენაერთში. მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლაში, სადაც დაიღუპა კიდეც. მამამ დიდი წვალებით იპოვა ცხედარი, ჩამოასვენა და ეროვნული გმირი დიდი პატივით დაკრძალეს სოფელ სამების ეკლესიის წინ. სოფელმა გმირის ხსოვნის უკვდავსაყოფად საფლავზე ობელისკი ააგო. 1923 წელს ობოლაძის დამსჯელი რაზმი სოფელ სამებას ეწვია და ტყვიებით შელახა გმირის ობელისკი. 1927 წელს კი პარტიულმა კრებამ ობელისკი აიღო. გახსნეს ობელისკის სათავსო და მაკერ ბურჭულაძის პირადი ნივთები, ნერილები და ფოტო-სურათები გაანადგურეს.



გოგიბერიძე სიმონ

დაიბადა 1900 წელს, ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის სოფელ ხიდისთავში. დაწყებითი ორკლასიანი განათლება მიიღო სოფელ ხიდისთავში, შემდეგ დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი და ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, შემდეგ სიმონ გოგიბერიძე სხვა სემინარიელებთან ერთად გაერთიანდა მსროლელთა გუნდში, დაამთავრა მეტყვიამფრქვევეთა სასწავლებელი. მონაწილეობა მიიღო საქართველოს მიერ გადახდილ ყველა ომში.

1920 წელს მიიღო ოფიცრის წოდება. რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში საქართველოს დაპყრობას სიმონ გოგიბერიძე გაგრის ფრონტზე შეხვდა. საბჭოთა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მონაწილეობა დანაშაულად ჩაუთვალა და რამდენიმე თვით დაატუსაღეს.

მოგვიანებით ის გახდა გურიის არალეგალური სამხედრო შტაბისა და 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილე გურულ მოჯანყეთა ერთ-ერთი მეთაური.

აჯანყების დამარცხების შემდეგ სიმონ გოგიბერიძე წავიდა ემიგრაციაში-საფრანგეთში.

II მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა საქართველოში გავრცელდა ჭორი, თითქოს საქართველოს ემიგრანტული მთავრობა თანამშრომლობდა ჰიტლერულ გერმანიასთან. ამიტომაც პარიზის ქართულ წრეებში მომზიდდა აზრი საქართველოსათვის მართალი ინფორმაციის მიწოდებისა. ეს საქმე მიენდო სიმონ გოგიბერიძეს. 1939 წელს სიმონი აფრიკისა და არაბული ქვეყნების გავლით ჩადის თეირანში, საიდანაც იმავე წლის დეკემბერში დათიკო ერქომაიშვილთან ერთად, სასაზღვრო ქართულ სოფელ მაჭახელაში ბინავდება. აქ ისინი მთელი ზამთრის განმავლობაში აკვირდებიან შავშეთის ქედზე საბჭოთა საგუშაგოების განლაგებას, სასაზღვრო პატრულირების წესებსა და გრაფიკს, რამაც სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

1940 წლის აპრილის ბოლოს ორივენი უხილეთოდ დაეშვნენ თოვლიანი მთის კალთებით, ზუსტად დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გადალახეს საზღვარი და აჭარა-გურიის მთებს შეაფარეს თავი. საფრანგეთიდან მათ ქართულ და ფრანგულ ენებზე გამომავალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს რამდენიმე ეგზემპლარი

შემოიტანეს, სადაც განმარტებული იყო საქმის ნამდვილი ვითარება და ნოე უორდანიას სიტყვიერ დირექტივებთან ერთად შეძლეს მისი ხალხში გავრცელება.

1942 წლის ივნისში სიმონ გოგიბერიძე ხელმეორედ შემოვიდა საქართველოში და აქ 35 დღე დარჩა. უკან გაბრუნებისას კი საბჭოთა მესაზღვრეებმა ის დაპატიმრეს.

ოცდაშვიდი თვის განმავლობაში ჯალათები ცდილობდნენ პატიმრისაგან გერმანიის აგენტობის აღიარებას, რაც ნოე უორდანიას მთავრობის სახელის გატეხასაც ითვალისწინებდა. მას დანაშაული ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ „საბჭოთა ჰუმანურმა სასამართლომ“ 25 წელი პატიმრობა განუსაზღვრა. იგი გაამწესეს რუსეთში ქალაქ ვლადიმირის ციხეში.

სიმონ გოგიბერიძემ პატიოსნად მოიხადა სასჯელი. 1967 წელს დაბრუნდა სამშობლოში. მთავრობამ მას ერთოთახიანი პინა გამოუყო თემქის დასახლებაში, თბილისში. სიმონი თარგმნიდა, აკეთებდა კორექტურებს სხვადასხვა ენებზე. მისი ფრანგული თარგმანი გრიგოლ ჩხილავაძის „ქართულ ხალხური საკრავებისა“ გამოქვეყნდა პარიზში კალისტრატე სალიას „ბედი-ქართლისაში“. სიმონ გოგიბერიძე რეპეტიტორობდა კიდეც - ასწავლიდა ფრანგულ, გერმანულ და თურქულ ენებს.

სიმონ გოგიბერიძე გარდაიცვალა 1970 წელს. დაკრძალულია თბილისში კუკიის სასაფლაოზე.



თავართქილაძე ნიკოლოზ

დაიბადა 1905 წელს, სოფელ ქვენობანში. 1926 წელს დამთავრა სამხედრო სასწავლებელი და მიენიჭა მეთაურის წოდება. 1935 წელს გაგზავნეს მოსკოვში ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1939 წელს. ამავე წელს დაინიშნა უკრაინაში დივიზიის უფროსის მოადგილედ, 1940 წელს კი დივიზიის მეთაურად.

შენაერთს, რომელიც მონაწილეობდა II მსოფლიო ომში ნიკოლოზ თავართქილაძის ხელმძღვანელობით, საბრძოლო ამოცანის ბრწყინვალე შესრულებისათვის, მიენიჭა გვარდიის წოდება და დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. ომის დაწყების პირველივე დღიდან წარმატებით იბრძოდა თავართქილაძის შენაერთი. სტალინგრადის

მისადაგომებთან ბრძოლის დროს გენერალმა თავართქილაძემ ტყვედ აიყვანა მოწინააღმდეგე გენერალი გეიცი, რომელსაც წაართვა იარალი (დამბაჩა), საბრძოლო რუკა, ბინოკლი და ავტომანქანა. იარალი და ბინოკლი ომიდან დაპრუნების შემდეგ, საჩუქრად გადასცა ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ნიკოლოზ თავართქილაძემ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა წიგნი „იყო ასეთი დღეები.“ გენერალი თავართქილაძე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

კალანდაძე ნესტორ

დაიბადა 1877 წელს, სოფელ ხიდისთავში (მეწიეთი). დაამთავრა პეტროგრადის უნივერსტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1907 წლიდან იყო ქართული იუმორისტული ჟურნალების ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1917-1921 წლიდან ჟურნალ „ემმაკის მათრახის“ რედაქტორი. ისტორიაში იხსენიება, როგორც მამხილებელი ყოველგვარი უზნეობისა და თვალთმაქცობისა. ისიც თანამოაზრებთან ერთად გაიქცა სამშობლოდან საფრანგეთში და გარდაიცვალა 1943 წელს. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.



შალვა (შალია) ალექსანდრეს ძე კალანდაძე

(1904—1988წწ.) ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპული ენების ფაკულტეტზე. პარალელურად საქართველოს ისტორიას ეუფლებოდა, ისტორიის ფაკულტეტზე. სწავლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განამწესეს სოხუმში. ზაფხულობით ჩამოდიოდა ჩოხატაურში და იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც პოპულარიზაცია გაუწია რაიონში ფეხბურთს. მან თავის ძმა გრიშა კალანდაძესთან ერთად ჩამოაყალიბა რაიონში ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, შ. კალანდაძე პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში, მაგრამ ადგილობრივი კომპარტიის წევრები არცთუ კარგი თვალით უყურებდნენ მას. 1924 წელს რეპრესირების დროს, როგორც პარტიისა და ქვეყნის

მოლალატე შ. კალანდაძე ოჯახთან ერთად გადასახლეს. 1929 წელს პატიმრობიდან დაბრუნებულმა შესძლო წასულიყო საზღვარგარეთ (საფრანგეთში). ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში ჟურნალისტად. გარდაიცვალა 1984 წელს, დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.



მათითაიშვილი სერგო ვასილის ძე

დაბადა სოფელ ქვენობანში. პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლისთანავე სერგო მათითაიშვილი აქტიურად ჩაება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დამოუკიდებელ საქართველოში სერგო მათითაიშვილი იყო გურიის გვარდიის უფროსი. მისი მოადგილე იყო სიმონ გოგიძერიძე. საქართველოს ანექსიის შემდეგ ს. მათითაიშვილი აშკარად დაუპირისპირდა დამპყრობლებს. ის შეიშის ზარს სცემდა „ჩეკისტებს“. იყო სამართლიანი ადამიანი, მისი შიშით ჩოხატაურში ძარცვა და ყაჩაღობა არ იყო. 1924 წელს აჯანყების დამარცხებისთანავე (არ წასულა საზღვარგარეთ) დაიმალა და კვლავ აგრძელებდა ბრძოლას, საუბედუროდ უშედეგოდ, ის, როგორც სხვები, გაიქცა სამშობლოდან, ს. მათითაიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ლევილის სასაფლაოს ქართველებისათვის გადაცემის საქმეში.



ულენტი მიხეილ

ოფიცერი. ძმასთან ერთად იბრძოდა „მცირე მიწაზე“, 1943 წლის ივლისში მათი გზები გაიყარა. კაპიტანი მ. ულენტი უკრაინის ფრონტზე გადაიყვანეს, ხოლო მისმა ძმამ, უფროსმა ლეიტენანტმა გ. ულენტმა, ისევ მე-18 არმიაში განაგრძო ბრძოლა. მ. ულენტმა ბრძოლის დიდი გზა განვლო „მცირე მიწიდან“ ბერლინის მისადგომებამდე. ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებული ოფიცერი კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას და მალე შექმნა მშვენიერი ოჯახი, სამწუხაროდ მეუღლე და ერთადერთი ვაჟიც დაეღუპა.



რამიშვილი ნოე

დაიბადა სოფ. ქვემო სურებში (დიდი-ვანი). სწავლობდა სოფლის საერო ორკლასიან სასწავლებელში, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ქალაქ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1901-02 წლებში კი ტარტუს (დერპტის, იურიევის) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სტუდენტურ გამოსვლაში მონანილეობის გამო სასწავლებლიდან დაითხოვეს.

საქართველოში დაბრუნებული ხელმძღვანელობდა ქალაქ ბათუმის მუშათა არმიას. აქტიურად იყო ჩაბმული გურიის გლეხთა მოძრაობაში. 1904 წელს ნოე რამიშვილი ბაქოში რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა. ამავე წელს იგი თბილისში გადმოვიდა, სადაც დააპატიმრეს და გაგზავნეს ქალაქ ბათუმში. მას ეროვნული მოძრაობა არ შეუწყვეტია. 1908-09 წლებში ნოე რამიშვილმა სწავლა გააგრძელა გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში, ეკონომიკასა და ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ნოე რამიშვილი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე. პარალელურად მას ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. მალე იგი მთავრობის პოსტზე თვითონ პარტიის ლიდერმა, ნოე ჟორდანიამ შეცვალა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ ნოე რამიშვილმა დატოვა საქართველო და ოჯახთან ერთად საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად.

იგი შეურიგებელი იყო „ნითელი რუსეთისადმი“.

ნოე რამიშვილი გარდაიცვალა ტრაგიკულად, 1930 წელს.



ცინცაძე გრიგოლ მელიტონის ძე

დაიბადა 1888 წელს (სოფელი ფარცხმა). ეროვნული მთავრობის დაცვის ერთგული ხელმძღვანელი, იყო წარმოსადეგი და კარგი გარეგნობის ვაჟკაცი. 1924 წლის ამბოხების შედეგად შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა მეუღლე და ორი შვილი და გაქცეულიყო სამშობლოდან (საფრანგეთში). მან 26 წელი გაატარა ლევილში ოჯახისა და სამშობლოს ნატვრაში. გრიგოლ ცინცაძე გარდაიცვალა 1966 წელს. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.



ნიქარიძე პლატონ

დაიბადა 1918 წელს, სოფელ ინტაბუეთში. 1937 წელს დაამთავრა სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა. ამავე წელს მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. ის სწავლობდა ქალაქ თბილისში ამიერკავკასიის ქვეით სამხედრო სკოლაში, ხოლო შემდგომ მინსკში კალინინის სახელობის, სამხედრო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წელს ლეიტენატის სამხედრო წოდებით. იმავე წელს ჩაირიცხა მოქმედ არმიაში, რომელიც მონაწილეობდა დასავლეთ ბელორუსიის გათავისუფლებაში.

1943 წელს მონაწილეობდა ქერჩის სრუტის გადალახვისა და ქერჩის ნახევარკუნძულის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და ნაღმმტყორცნელთა ასეულის უნარიანი მეთაურობისათვის 1943 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლეიტენატ პლატონ ნიქარიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დაჯილდოვდა მედლებითა და ორდენებით. ომიდან დაბრუნების შემდეგ ის მუშაობდა სამხედრო საგანმანათლებლო სასწავლებლებში.

ხუნდაძე ანტონ

დაიბადა 1893 წელს, სოფელ კალაგონში (ოზურგეთის მაზრა) ალექსანდრე ხუნდაძისა და ვარდო ჩხერიელის ოჯახში.

სოფელ კალაგონის საეკლესიო-სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს თავის მამულებში სოფელ კალაგონსა და დაფნარში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე შევიდა გვარდიაში. აითვისა მეტყვიამფქვევის პროფესია, გახდა ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებლის ნაწილის მეტყვიამფრქვევთა რაზმის ხელმძღვანელი. მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისა და სახალხო გვარდიის მიერ წარმოებულ შემდეგ ბრძოლებში:

ჩოლოქთან ოსმალთა წინააღმდეგ - 1918 წელს.

ოსმალთა წინააღმდეგ - 1919 წელს.

სომხეთთან ომში - 1918 წელს.

ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ - 1919 წელს. საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ 1920-1921 წლებში.

იყო 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყების აქტიური მონაწილე; ანტონ ხუნდაძე მრავალჯერ იყო რეპრესირებული. იყო დაპატიმრებული 1921-1923 წლებში; 1925-1927 წლებში იყო კატორლაში; 1929-1936 წლებში მურმანსკის ოლქში, სოლოეცკის კუნძულზე და არხანგელსკში; 1937-1942 წლებში ბურიატ-მონგოლეთის დედაქალაქში - ულანუდეში;

ანტონ ხუნდაძეს საბჭოთა მტარვალებმა არ აპატიეს სამშობლოს, საქართველოს სიყვარული, მისთვის თავდადება და 1942 წელს სხვა ე.წ. გამოუსწორებელ კონტრევოლუციონერებთან ერთად გადაიყვანეს მაგადანში და გაუსამართლებლად დახვრიტეს.

ხუნდაძე აკაკი

დაიბადა 1901 წელს, სოფ. გოგოლესუბნში. 1921 წლის თებერვალის ომში თბილისის იუნკერთა სასწავლებელში მიუსწრო და კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებშიც მამაცურად იბრძოდა. შემდეგ კი ოსმალთაგან ქ. ბათუმის გათავისუფლებაში. ამ ბრძოლებში ცალი თვალი დაკარგა, მაგრამ არ ნანობდა, რადგან თავი სამშობლოს შესწირა. აკაკი ხუნდაძე გარდაიცვალა 1971 წელს.

ხუნდაძე გაბრიელ

დაიბადა 1877 წელს, სოფელ კალაგონში (ოზურგეთის მაზრა) სასულიერო პირის ოჯახში. გაბრიელის დედა სალომე გეგეჭკორი იყო ლავრენტი ბერიას მეუღლის ნინა გეგეჭკორის ნათესავი. გაბრიელ ხუნდაძე აქტიურად იბრძოდა რუსეთის თვითმშეცვრაბელობის წინააღმდეგ, იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგული მსახური, ნიჭიერი პოლიტიკოსი და დიპლომატი.

მან სასულიერო განათლება მიიღო ხარკოვის სასულიერო სემინარიაში. 1898 წლიდან ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის II ყრილობის (1903წ) შემდეგ მიემხრო უმცირესობას (მენშევიკებს). იმ პერიოდში გა-

ბრიელ ხუნდაძე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ბაქოს ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მალე დააპატიმრეს.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ გაბრიელ ხუნდაძემ სწავლა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1914-1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს გაბრიელ ხუნდაძე იყო მენშევიკ-ინტერნაციონალისტი.

1917 წლის ოქტომბრის სისხლიანი საბჭოთა, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაბრიელ ხუნდაძე რჩება მოსკოვში და ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდება.

1918-1920 წლებში გაბრიელ ხუნდაძე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საბჭოთა რუსეთში. 1919 წელს თებერვალში მოსკოვში გადაწყდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის საკითხი. 1919 წელს რუსმა ჩეკისტებმა 17 დღიან პატიმრობაში ამყოფეს გაბრიელ ხუნდაძე.

1920 წელს გაბრიელ ხუნდაძე დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად ბოლშევიკურ-საბჭოთა აზერბაიჯანში.

1921 წლის იანვარში გაბრიელ ხუნდაძემ პირველმა აცნობა საქართველოს მთავრობას, რომ ბაქოში დამთავრდა II წითელი არმიის შედგენა და მისი მიზანი იყო საქართველოს ოკუპაცია.

გაბრიელ ხუნდაძე 1921 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში, მუშაობდა ადვოკატთა კოლეგის წევრად, 1931 წელს დააპატიმრეს და ქუსმანში გადაასახლეს. 1935 წელს გაათავისუფლეს.

1937 წელს გაბრიელ ხუნდაძე გაუსამართლებლად დახვრიტეს.

ხუნდაძე გედეონ (გენო)

დაიბადა 1901 წელს, სოფელ კალაგონში (ოზურგეთის მაზრა). იგი სწავლობდა კალაგონის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში, შემდეგ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

1920 წელს გედეონ ხუნდაძე შევიდა ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში. მონაწილეობდა 1921 წლის ტაბახმელის გმირულ ბრძოლებში და სახელი გაითქვა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. 1921 წლის თებერვალში გედეონ ხუნდაძე სხვა იუნკერებთან და საქართველოს მთავრობასთან

ერთად ტოვებს სამშობლოს და მიემგზავრება სტამბოლს, შემდეგ მიდის პოლონეთში და აგრძელებს სწავლას სამხედრო სასწავლებელში. მისი დამთავრების შემდეგ მსახურობდა კაპიტნის ჩინით პოლონეთის არმიაში.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პოლონეთის ხელმძღვანელის, პრეზიდენტ პილსუდსკის ხელშეწყობით გედეონ ხუნდაძეს მიენიჭა ოფიცრის ჩინი.

გედეონ ხუნდაძე მონაწილეობდა II მსოფლიო ომში 25-ე ქვეითი პოლკის შემადგენლობაში. გერმანელთა მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ გენადი ხუნდაძე მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში.

1944 წელს გერმანელებმა პოლონეთის არმიის კაპიტანი, პარტიზანული ბრძოლების ხელმძღვანელი გედეონ ხუნდაძე დახვრიტეს.

ხუნდაძე მიხეილ

დაიბადა 1898 წელს თბილისში, ცნობილი მელვინე-აგრონომის, სიმონ ხუნდაძის ოჯახში.

მ. ხუნდაძე 1919 წლიდან სწავლობდა პოლიტეკონომიას ბერლინისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში (ცნობილ ქართველ ფილოსოფოსთან მოსე გოგიბერიძესთან ერთად), სადაც კარლ დეილის ხელმძღვანელობით დაიცვა სადისერტაციო ხარისხი. ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების, შემდეგ მიხეილ ხუნდაძემ სწავლა საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. 1921 წლიდან ემიგრაციაში დარჩა. მუშაობა დაიწყო ფრანგული საავტომობილო კონცერნის „სიტროენის“ ერთ-ერთ ქარხანაში ეკონომისტად. მალე კონცერნის კომერციული დირექტორი გახდა. 1922 წელს დაქორწინდა პარიზში. შოტლანდიელ ჰეგი ნელსონზე, ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი, მომავლში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სოციალისტური ფრთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მიხეილ ხუნდაძე 1925-1931 წლებში გამომავალი ქართული უურნალის - „ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატის“ რედაქტორი იყო, 1925-1928 წლებში კი უურნალ „ბრძოლის“ რედ-კოლეგიის წევრი.

ის აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბეჭდავდა სტატიებს ქართულ ემიგრაციის მიერ გამოცემულ პრესაში. 1920-1930-იან წლებში მიხეილ ხუნდაძე ესწრებოდა უცხოეთში გამარ-

თულ ახალგაზრდათა კონგრესებს თუ კონფერენციებს, აცნობდა მათ საქართველოს ამბებს.

1923 წელს მიხეილ ხუნდაძე მონაწილეობდა ქ. ჰამბურგში მიმდინარე მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესის მუშაობაში. მან გერმანულ ენაზე წარმოთქვა ნახევარსაათიანი სიტყვა და დაიმსახურა ოვაციები.

1929-1930 წლებში უურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნდა მიხეილ ხუნდაძის ორი წერილი - „საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“ და „დიდი ბრიტანეთი და ინდოეთის პრობლემა“.

პენსიაზე გასვლის შემდეგ დაინიშნა სიტროენის წარმომადგენლად მთელ ამერიკაში. გარდაიცვალა 1983 წელს პარიზში.

„ტერიტორია, გამორჩეული საისტორიო ფენომენია, რომლის ათვისებისა და დაცვისათვის ბრძოლა უძველესი დროიდან დღემდე უდიდესი სიმძაფრით მიმდინარეობს,,

„მღერის აპრილი, მღერის ბუნება,
ჩიტები გალობს, რა გეტირება?
საქართველოსთვის ქართველი ბიჭი,
ომში მიღის და გმირულად კვდება.“
გია სიხარულიძე

ნატო გიორგაძე
1989 წელი, 9 აპრილი.



1992-1993 წლებში აფხაზეთში ჩოხატაურის რაიონიდან ბევრი ახალგაზრდა წავიდა სამშობლოს დასაცავად. მათგან ათმა ოჩამჩირესთან, ტამიშთან და გუმისთან დატოვა აუხდენელი ოცნება.

ბელარუსოვი გელა



ბერაძე ლექსო




კალანდაძე მამუკა



სიხარულიძე გია



კიკვაძე ნუგზარ



უნგიაძე გოჩა



კიკვაძე ზურაბ



უჯმაჯურიძე გურამი



ონიანი გოჩა



ტრაპაიძე გია



შინოვი ალბერტი

ცინცაძე ზაზა



2008 წელი (ოსეთის ომის მონაწილე)

ახობაძე მერაბი



ირემაძე მურთაზი



მგალობლიშვილი ფილიპე (ლერი)



ପାଦିନ୍ଧିଗାରୀ ରାଜଶ୍ଵଳ ରାଜମ ଓ କ୍ଷେତ୍ର

କୁରୁକ୍ଷେତ୍ର

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ / ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ / ଅଧିକାରୀ ମହାନ୍ତରେଣ୍ଟର
ଏ ଲୋକରଚାରୀ ଶିଳ୍ପରୀତି କିମ୍ବା କ୍ଷେତ୍ର ପାଦିନ୍ଧିଗାରୀ
କ୍ଷେତ୍ର ରାଜଶ୍ଵଳ ପାଦିନ୍ଧିଗାରୀ ଏବଂ ମହାନ୍ତରେଣ୍ଟର, କଥାର
କ୍ଷେତ୍ର ମହାନ୍ତରେଣ୍ଟର କଥାର ପାଦିନ୍ଧିଗାରୀ ମହାନ୍ତରେଣ୍ଟର
କ୍ଷେତ୍ର ରାଜଶ୍ଵଳ ୨୫- ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ ଶିଳ୍ପରୀତି
କଥାର ମହାନ୍ତରେଣ୍ଟର କଥାର କଥାର କଥାର
କଥାର କଥାର କଥାର କଥାର କଥାର
କଥାର କଥାର କଥାର କଥାର

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ

J. M. B.

გუდავაძე ვანო (მოკრიმანჭულე)

დაიბადა სოფ. ქვაბლაში, 1924 წელს. სიმღერის ნიჭი მემკვიდრეობით დაჰყო. სხვადასხვა დროს ის წარმატებით უძლვებოდა სოფლების ქვაბლის, ზოტის, გუთურისა და გუბაზეულის ხეობის ვოკლაურ ანსამბლებს. მოგვიანებით სახელგანთქმული მომღერალი ჩოხატაურის სახალხო ანსამბლში მიიწვიეს სოლისტად. ის გასტროლებზე თან ახლდა ანსამბლს მოსკოვში, ლენინგრადში, სოჭში და სხვა მრავალ ქვეყანაში. მას თავისი კრიმანჭულით დიდი წვლილი შეჰქონდა ანსამბლის წარმატებაში. წილად ხვდა ბეჭნიერება ემასპინძლა მრავალი გამოჩენილი მუსიკოსისთვის, რომელთა შორის იყო დიდი იაპონელი მუსიკოსი ჰოკაიდოს უნივერსიტეტის პროფესორი სან მორიტა.

კოტრიკაძე ალექსანდრე (ფეხბურთელი)

დაიბადა 1929 წელს, სოფელ დაბლაციხეში. თამაშობდა ქ. თბილის საფეხბურთო გუნდებში „სპარტაკსა“ და „დინამოში“. „დინამოელთა“ რიგებში ჩაატარა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 116 მატჩი.

1953 წელს იყო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 1959 წლის ბრინჯაოს პრიზიორი. 1964 წელს ალექსანდრე კოტრიკაძის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ“საკავშირო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა. 1966-1973 წლებში ალექსანდრე კოტრიკაძე იყო თბილისის დინამოსა და საქართველოს სხვადასხვა გუნდის მთავარი მწვრთნელი. 1964 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. გარდაიცვალა 1999 წელს.



სიხარულიძე ასიკო ისააკის ძე (მესოლინარე)

„სოლინარი“ გურიაში ფართოდ გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავი იყო. სიმღერა ასიკომ მამისაგან ისწავლა, ხოლო სოლინარის დაკვრა ლევან ბერძენიშვილისაგან. ასიკოს სოლინარის ხმი სიტყბოს ხშირად იხსენებდნენ მეგობრები და მეზობლები. ჩოხატაურის ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების, შემდეგ ასიკო უფროსმა დამ ბაქოში წაიყვანა და გიმნაზიაში მიაპარა. ცუდი ოჯახური პირობების გამო იძულებული იყო უკან მშობლებთან დაბრუნებულიყო. 1905 წელს ის ნასაკირალის შეტაკებაში მონაწილეობდა, ოზურგეთის საპატიმროს სიმწარეც განიცადა. გარდაიცვალა 1932 წელს.

ქორიძე ავთანდილ (მოჭიდავე)

დაიბადა 1935 წელს, ქ. თბილისში. სწავლობდა სოფ. საჭამიასერის სამუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების, შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე. 16 წლიდან ეზიარა კლასიკური ჭიდაობის საფუძვლებს. იყო 1955 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭიდაობაში იაკობ პუნკინი შეხვდა ავთანდილ ქორიძეს. იგონებს იაკობ პუნკინი: (საბჭოთა კავშირის ოთხზის ჩემპიონი და ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი), „მას ჭიდაობის უტყუარი ალლო ჰელნდა. საშიშროებას წინასწარ ხედავდა. ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი 1955 წელს ავთანდილ ქორიძეს სსრ კავშირის ჩემპიონატზე ვეჭიდავე და ორი ქულით წავაგე. დამიჯერეთ, ყველაფერი ვიღონე მოსაგებად, მაგრამ ვერაფერი შევძელი.“

ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავის გამარჯვება მთავარი სენსაცია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართა ქ. სარატოვში. ავთანდილ ქორიძე სრულიად უცნობი (ოცი წლის), ოთხი წელი ვარჯიშობდა კლასიკურ ჭიდაობაში (ცნობილი მწვრთნელის პეტრე იორდანიშვილის ხელმძღვანელობით

რომის ოლიმპიური თამაშების წინ (1960 წ.). ავთანდილ ქორიძემ რამდენჯერმე დაიკავა საპრიზო ადგილი სსრ კავშირის ჩემპიონატებში. 1960 წელს რომის XVII ოლიმპიური თამაშების დროს ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა, მსუბუქი წონა) ექვსჯერ გამოვიდა ხა-

ლიჩაზე. ხუთი ბრძოლა მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა. ავთანდილ ქორიძე გახდა ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი.

1961 წელს იაპონიაში - ქალაქ იოკოჰამაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე კლასიკურ ჭიდაობაში, (მსუბუქ წონაში) - ავთანდილ ქორიძემ კვლავ დაუმარცხებლად ჩატარა ყველა ორთაბძოლა, ფინალში ისევ ბრანლო მარტინოვიჩი დაამარცხა და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ავთანდილ ქორიძე 1966 წლის აპრილში თავის მეგობართან, ცნობილ ქართველ კლასიკოს მოჭიდავე რომან ძნელაძესთან ერთად დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ძნელაძე რომან

(მოჭიდავე)

დაიბადა 1933 წლის 1 სექტემბერს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, შემდეგ სპორტში მეცადინეობა დაიწყო (1949 წელს), ხუთი წლის მანძილზე (1950-1955წწ). იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საკავშირო ხალხთა სპარტაკიადის ოქროს მედალოსანი, სპორტის ოსტატი.

იგი მონაწილეობდა მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ქვემსუბუქ წონაში იასპარეზა (62 კგ). მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებში ქვემსუბუქ წონის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ბოლო ორთაბრძოლაში ერთმანეთს რომან ძნელაძე და უნგრელი იმრე პოიკი დაუპირისპირდნენ. საქმის ვითარება ასეთი იყო: თუ ქართველი გაიმარჯვებდა ჩემპიონი გახდებოდა, თუ რომანი ქულებით წააგებდა, ოქრო მანამდე მის მიერ ძლეული ფინელი რუნი მიაკინენის კუთვნილება ხდებოდა, ძნელაძეს კი „ბრინჯაო“ ერგებოდა, თუ ძნელაძე წმინდად დამარცხდებოდა, მას ვერცხლი შეხვდებოდა, ჩემპიონი კი უნგრელი გახდებოდა. ყველა ვარაუდობდა, რომ ყოველივე სწორედ ამ უკანასკნელი სცენარით წარიმართებოდა, რადგანაც სათუო გამარჯვების და ოქროს მედლის და მასთან ერთად მეორე ადგილის დაკარგვას წმინდად დამარცხებით გარახტირებული ვერცხლი სჯობდა, ეს სცენარი მით უფრო სავარაუდო იყო, რომ რომანს მხარი ჰქონდა დაშავებული, რაც სრული ძალით ჭიდაობის საშუალებას არ აძლევდა. ეს იცოდა ყველამ, იმრე პოიაკის ქომაგებმაც, ფინელი ფალავნის გულშემატ-კივრებმაც.

რომან ძნელაძე გამარჯვებისათვის ბოლომდე იბრძოდა. პოიემა მისი დაშავებული მხარის ამბავი იცოდა, სულ მტკივან ადგილას „ეჯაჯგურებოდა,” რაკი უნგრელი წმინდად მაინც ვერ იმარჯვებდა, ყველა ფიქრობდა, რომ შეხვედრის ბოლოს წამებზე ძნელაძე მეტოქეს დაუწვებოდა. ძნელაძემ ვერცხლის მედლის ამგვარი მოპოვებას ქულებით წაგება და ბრინჯაოს მედალი ამჯობინა.

მთელ ამ ისტორიაში კურიოზული შეჯიბრების წესები იყო, ხოლო რომანის საქციელი, რაინდული. რაინდობის გამო ძნელაძე რომანი მელბურნის თამაშების გმირად იქცა.

როცა ქართველისა და უნგრელის ორთაბრძოლა დასრულდა, გაირკვა ჩემპიონის ვინაობა სიხარულით გაგიჟებულმა ფინელებმა თავიანთი თანამემამულე კი არა, რომან ძნელაძე შეისვეს მხრებზე და ამგვარად საპატიო წრე შემოარბენინეს.

ჭკუასელი ავთანდილ

(ფეხბურთელი)

დაიბადა 1931 წელს. სოფელ საჭამიასერში. ის იყო XX საუკუნის შუა პერიოდის თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი, 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სსრკ-ს ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი.

ის საფეხბურთო სამყაროში კარგად ცნობილ თანაგუნდელებთან ბ. პაიჭაძესთან, ავ. ღოლობერიძესთან, შ. იმნაძესთან, მ. მესხთან და სხვებთან ერთად ჭედდა ქართული ფეხბურთის დიდებას. მწვანე მინდორზე „შემოქმედებით ექსტაში“ შესული და „უაღრესად რთული სისადავით“ მოთამაშე ავთანდილ ჭკუასელის დამორჩილება ისეთივე უპერსპექტივო იყო, როგორც არწივის მოთვინიერება. ამიტომ ის „გოლეადორი ფორვარდის“ სახელით რეპუტაციით სარგებლობდა.

ჭკუასელი დავით პავლეს ძე

(საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე)

დაიბადა 1892 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში, გლეხის ოჯახში. დავითს მშობლები ადრე გარდაეცვალა. შრომითი საქმიანობა მან ქუთაისში დაიწყო, პარალელურად მღეროდა სანდრო კავსაძის გუნდში. გალობდა ეკლესიაში. ქუთაისიდან იგი გაინ-

ვიეს ჯარში. დავითი მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, საიდანაც დაჭრილი დაპრუნდა 1921 წელს.

1927 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიაში, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე.

დიდი სამამულო ომის დროს, 1942-1945 წლებში, დავითი იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. იქ მან ჩამოაყალიბა მომღერალთა ანსაბლი, რომელიც დიდი წარმატებით ატარებდა კონცერტებს მებრძოლებისათვის. დაჯილდოებულია მედლით “გერმანიაზე გამარჯვებისათვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წლებში”.

იგი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას – ხელმძღვანელობდა თვითმოქმედი საგუნდო წრეების ხელმძღვანელთა მოსამზადებელ კურსებს. დავით ჭკუასელი საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისთვის დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1925-1955წწ), პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს, ახალგაზრდობის და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის კომიტეტის (ფესტივალის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის), ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის, უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 4 მაისის ბრძანებულებით დავით პავლეს ძე ჭკუასელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

დავით ჭკუასელი გარდაიცვალა 1972 წლის 14 აპრილს, დასაფლავებულია ქ. თბილისში.



ხუნდაძე კონსტანტინე (საქართველოს დამსახურებული არტისტი)

დაიბადა 1912 წელს ქ. ქუთაისში ქუთაისის გუბერნიის მთავარი ექიმის, ერმილე ხუნდაძის ოჯახში. ბავშვობიდან ის დაინტერესებული იყო სასცენო ხელოვნებით. სისტემატურად მონაწილეობდა მოსწავლეთა მიერ გამართულ წარმოდგენებში.

კონსტანტინე ხუნდაძემ 1930 წელს დაამთავრა ქუ-

თაისის საშუალო სკოლა და ორი წელი მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის თეატრში. 1930-1932 წლის სეზონში მან შექმნა რამდენიმე მეტად საინტერესო სახე. 1933 წელს ის შალვა დადიანმა გადაიყვანა რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტების დასში.

1933-1936 წლებში კონსტანტინე ხუნდაძე მოღვაწეობდა ბაქოში ქართულ ექსპერიმენტულ თეატრში მსახიობად.

1937 წელს მოხდა ბაქოს თეატრის ლიკვიდაციის გამო კონსტანტინე ხუნდაძე დაბრუნდა თბილისში, შეუერთდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასს.

1938 წელს დანიშნეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ნაწილების მომსახურეობის მხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელად.

კონსტანტინე ხუნდაძე წერდა ფელეტონებს, ლექსებს, პაროდიებს და დიდ დახმარებას უნევდა მსახიობებს.

1942 წელს კონსტანტინე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც დაბრუნდა 1945 წელს ტრავმირებული (დაერღვა მეტყველების ორგანოები). მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელობაში ის დანიშნა თეატრის მმართველად და სადადგმო ნაწილის გამგედ.

1958 წლის 22 დეკემბერს კონსტანტინე ხუნდაძეს გადაუხადეს თეატრალური მოღვაწეობის 30 წლის იუბილე და მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის ნოდება.

ხუნდაძე ჯიბსონ (მხატვარი)

დაიბადა 1927 წელს. 1952 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია. ის იყო ფერმწერი, პეიზაჟისტი. საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი. მისი შემოქმედება გამოირჩევა ღრმა ემოციურობით, მდიდარია ფერადოვნებით. მხატვარმა თავისებურად განავითარა თავის მასწავლებლის დ. კაკაბაძის ტრადიციები. მისი ნამუშევრებია: „ძველი თბილისის ქუჩები”, „ნატურმორტი ბრონეულით”, რომელებიც საქართველო კულტურის სამინისტროს კუთვნილებაა. „რაჭის პეიზაჟი” და „ზამთარი მთაში” საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ხოლო „სივრცობრივი პეიზაჟი” – მხატვრის კუთვნილებაა.

ჯინჭარაძე ვლადიმერ (ლოტბარი)

დაიბადა 1887 წელს სოფ. წითელი. სიმღერის სიყვარული მემკვიდრეობთ მოდგამდა. მის ლოტბარად დაოსტატებაში დიდი წვილილი მიუძღვოდათ ვახტანგ და ბარნაბ სიხარულიძებს. მათივე მხარდაჭერით მან ჩამოაყალიბა სასოფლო ანსაბლი წითელი. მეზობელ სოფლებში. მღეროდა რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსაბლში. ვლ. ჯინჭარაძე გარდაიცვალა 1951 წელს.

ჯინჭარაძე ჭოლა (ლოტბარი)

დაიბადა სოფ. წითელი. ხალხური მუსიკისადმი ლტოლვა მემკვიდრეობით მოსდგამდა. სხვადასხვა დროს მღეროდა სოფლების წითელისა და საყვავისტყის ანსაბლებში. მოგვიანებით მიიწვიეს ჩოხატაურის ომის და შორმის ვეტერანთა ანსაბლში, ბანის პარტიას ასრულებდა, შემდეგ ლოტბარადაც დააწინაურეს. მის დიდებულ სამუსიკო მემკვიდრეობას დრო ვერაფერს დააკლებს.

გარეშე მტერი ტყვეთა მტაცებლობითაც გვავიწროებდა, რამაც ფართო ხასიათი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო. ოსმალო დამპყრობლებისაგან აღმოსავლეთ გურიის (ჩოხატაურის) მთანი ნაწილი უფრო მეტად ზარალდებოდა. მტერი შემოდიოდა მდინარეების სუფსისა და გუბაზეულის ხეობებით. სოფლებში ქვაბლაში, ნაბელლავსა და სურებში იტაცებდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს და ჰყიდიდნენ ოსმალეთში, უმეტესად სტამბოლის ბაზარზე.

ქურდულად თუ აქვარად შემოსულ მტრული ძალების წინააღმდეგ იბრძოდნენ ყველაზე მამაცი და გაბედული გლეხების ხელმძღვანელობით. გლეხობის წრიდან გამოსულ ამ გმირთაგან ზოგი მოხსენიეულია ისტორიულ წყაროებში, ზოგიც დღემდე ცოცხლობს ხალხურ გადმოცემებში.

სოფლებში ხევში, ნაბელლავსა და ქვაბლაში ადამიანების მტაცებელთა წითელი ბრძოლებში ცნობილია ბულარა მამალაძე. სოფელ სურებში ამ მძიმე ტვირთს ენეოდნენ ივანე ბარამიძე, ოტია რამიშვილი, ბუკისციხელი დავით გურგენიძე, გოგელესუბნელი ივანე ფარეში, ბულიეთელი ხახუტა კეკელიძე.

ბარამიძე ივანე

დაიპადა ჩოხატაურის მაღალმთიან სოფელში (თავსურები). იგი ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის ვაჟკაცი ყოფილა. გულადი, თოფ-იარალის ხმარებაში ადრე განაფულა. ყრმობაშივე ჰქონია შემოვლილი მდინარე სუფსის სათავეები, სოფლის მთები. (ჩიხნარის, წიწინეთის, შუაგორას, სახოვას, ულეველას, კიკვიძისა და სხვა). ის ყოველთვის თვალყურს ადევნებდა სუფსის ხეობაში მომავალ საცხენესნო თუ საცალფეხო გზებს, რადგან ამ გზებით ბევრი მტარვალი სარგებლოდა. ივანე გულდასმით სწავლობდა წინაპართა საბრძოლო გამოცდილებას, ენერგიულად ემზადებოდა მტერთან შებმისათვის.

ივანე ულევას მთაზე იმყოფებოდა და წააწყდა სოფლისაკენ მომავალ ტყვეთა მტაცებლებს. ფიცხელ ბრძოლაში ივანემ ორი მომხვდური იმსხვერპლა. ამ წარმატებამ ახალგაზრდა კაცს სახელი გაუთქვა არა მარტო სუფსის ხეობაში, არამედ ოსმალეთშიც.

ულეველას შეტაკებით ახალციხის ფაშაც დაინტერესდა და გამოაგზავნა შურისმაძიებელთა რაზმი. პირველი გამარჯვებით გათამამებული ივანე უფრო ღრმად შევიდა სასაზღვრო ზოლში, კიკვიძის მთის მიდამოებში და ჩაუვარდა კიდეც მტერს ხელში. მტერმა ის აწამა, და გადასცა ფაშას. ფაშამ ის თითქოს ალერსიანად მიიღო და გადმობირება სცადა, სასტიკი უარი მიღების სანაცვლოდ ის დილეგში ჩააგდო და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ივანემ თავის გადარჩენა მოახერხა დაბრუნდა სოფელში და თავისი ბრძოლა გაასკეცა.

ბუკისციხელი მარიამ

150-200 წლის წინ ცხოვრობდა, უამთა სიგრძეზე ამ სოფლის არაერთ მკვიდრს უსახელებია თავი შინაურ თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის არის მარიამიც. ხალხური ლექსი გადმოგვცემს.

ციხელი ქვრივი მარიამ
სახელგანთქმული ქალია,
ბატონის უსამართლობას
ემსხვერპლა მისი ქმარია,
ობლად დაურჩა ცხრა ქალი,
მზე-მთვარის დასადარია.

მარიამის ასულთა სიმშვერიერის ხმამ „თათრის ბეგამდეც“ მიაღწია და მათი მოტაცება გადაუწყვეტია. მარიამობის დღესასწაულის წინ გურჯ ქალებზე მონადირე აბრაგთა რაზმი მდინარის ხეობაში (ძვე-

ლკარის მიდამოებში) დაბანაკდა და დალამებას დაელოდა. შუალამე გადასული იყო, როდესაც „ალი-ალა დასტა“ ქვრივის ჭიშკარს მიადგა. ძაღლმა „მიასხავა“, ქვრივი მიხვდა რაშიც იყო საქმე, მყისვე გააღვიძა შვილები აიყვანა სხვენზე და ცხელი წყლით სავეს ქვაბი მოიმარჯვა, მტერმა კარები შეანგრია ცეცხლის ალზე აბრაგებმა კარგად დაათვალიერეს ირგვლივ ყველაფერი არავინ ჩანდა ხორციელი, სხვენიდან ერთ გოგონას კაბის კალთა ჩანდა. მომხვდურმა კაბას ხელი წავლო მარიამიც არ დაიბნა და მათ მდუღარე გადაასხა. ყვირილზე მოეშველნენ მარიამს და იხსნეს განსაცდელისაგან. (დავით გურგენიძის რაზმი)

გურგენიძე დავით

ცხოვრობდა იმ გზაზე, ძველკაიდან რომ გადმოდიოდა სუფსის ხეობაში. (სოფელი ბუკისციხე). სახალხო გმირის შესახებ გადმოცემები განსაკუთრებით უსვამს ხაზს დავითის მჭექარე ხმას, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას. დიდ ხმას გურგენიძე მარჯვედ იყენებდა. ხალხური გადმოცემით, გასაჭირში მიშველებია მარიამ ბუკისციხელს თავისი რაზმით. მისი მამაცობის ამბავმა გურიის მთავრის ყურამდეც მიაღწია და გმირი სასახლეში მიიწვია.

მამალაძე გაბრიელ (ბულარა)

დაიბადა სოფელ ხევში. (გუბაზეულის ხეობა), მას ოსმალ მეკობრეთა არაერთი რაზმისათვის გადაუღობავს გზა და ბევრიც სასტიკად დაუმარცხებია. სასახელო ბრძოლებში მისი ერთგული თანამებრძოლები იყვნენ ძმები იესე და გიორგი მამალაძები. ბულარა შიშის ზარს სცემდა შემოპარულ მტერს, ვინ იცის რამდენჯერ დაუფრთხია მომხდური თავისი უძლიერესი ხმით. შენუხებული სულთანი ამბობდა „ის ვიღაც ოხერი ბულარაა, საქმეს აჭირვებს მისი გმირობით გურიაში გლეხი ველარ მოგვიტაცია და გაგვიყიდია, დაედევნება თურმე ჩემს ხალხს, მეთაურებს კლავს, ტყვეებს კი უკან აბრუნებს“. თანასოფლელთა ერთგულების, სიყვარულისა და თავგანწირვის გამო, ბულრა თანამედროვეთა აღტაცებას, პატივისცემასა და მორიცებას იმსახურებდა. მადლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს გმირის სახელს. სოფელ ხევის ცენტრში დგას ბულარა მამალაძის ძეგლი.

რამიშვილი ოტია

დაიბადა სოფელ ქვემოსურებში (ამჟამად დიდი ვანი). წარმოსადეგი, მამაცი და კარგი მეპრძოლი, ის შესანიშნავი მსროლელი და კარგი მონადირე იყო. მის ფიზიკურ ძალას გონიერებაც ერწყმოდა, კარგად მღეროდა. ტყვეთა მტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჭაბუკობიდანვე ჩაეპა. ამ პატრიოტულ საქმეში უმცროსი ძმა საბიაც აიყოლია. ოტიას საკმაოდ მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა სამი ვაჟის (ფრიდონ, იასონ, ონისიმე) ნაშერნი.

მხატვარითა და სანაქებო მამულიშვილით მის სიცოცხლეშივე ამაყობდნენ ქართველი მხატვრობის დამფასებელნი და მის ღვანლს ვერც დროთა ცვალებადობა მიაყენებს ზიანს.

ფარეშთუხუცესი ივანე

დაიბადა სოფელ გოგოლესუბანში. გურიის სამთავროს უკანასკნელ მდივანბეგს გიგო ერისთავს ბევრი ფარეში ჰყავდა (შინა მოსამსახურე). მათგან მხოლოდ ერთის სახელი შემორჩა ხალხის ხსოვნას. ხალხურ ლექსში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ფარეშის პირითვეა აღწერილი მისი ცხოვრება და ბრძოლა.

ივანე ადრევე ჩამდგარა ტყვეთა ტაცებისა და შესყიდვის წინააღმდეგ მეპრძოლთა რიგებში და მალე მიიპყრო ბუღარა მამალაძის ყურადღება, რომელმაც თავის რაზმში ჩარიცხა.

გურული ცხენოსნები ამერიკაში.



გურული ცხენოსნები XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ფართოდ წარმოადგენდნენ მხედრულ ხელოვნებას ევროპასა და ამერიკის სახელმწი-

ფონებში. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ უცხო სახელმწიფოთა სარჩიელზე და ჯირითობით მაყურებელს აჯადოებდნენ.

უცხოეთში მრავალჯერ ყოფილან და დიდი წარმატებაც მოუპოვებიათ ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერის (ქვემოხეთის) მკვიდრებს, დებს ბარბალე სპირიდონის ასულ ზაქარეიშვილ-კვიტაშვილისას, რომლებიც სიამაყით იგონებდნენ საზღვარგარეთ ასპარეზობის სენსაციურ ეპიზოდებს.

სანამ გათხოვდებოდნენ მანამდე კარგად, იცოდნენ ცხენოსნობა. მარო ზაქარეიშვილი ცოლად გაჰყვა ლანჩხუთელ ვალიკო კვიტაიშვილს. 1908 წელს ლუკა ჩხარტიშვილის მეთაურობით ამერიკისაკენ გაემგზავრა გურულ ცხენოსანთა გუნდი. სხვებთან ერთად გუნდში შედიოდნენ: ცოლ-ქმარი მარო და ვალიკო კვიტაშვილები, ქრისტინე ცინცაძე. (სოფელი ფარცხმა).

გადაუხურავ ცირკ იპოდრომებზე ჯირითის დროს ყველას აოცებდა მარო ზაქარეიშვილის მიერ სამ-გვერდებ ჩაკრული ცხენების ჭენება და მათი ჯირითი, „ცალი ფეხის ყაბარდული“, „მაკრატელა“, „დგომი“ და სხვა... საუკეთესო ოსტატობისათვის მარო ზაქარეიშვილი ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა პრილიანტის ბეჭდით დააჯილდოვა. 1912 წელს გურული ცხენოსნები სამშობლოში დაბრუნდნენ.

მორიგი გამგზავრებისას ვალიკო კვიტაშვილმა თან წაიყვანა ბარბალე ზაქარეიშვილი (ცოლისდა). ბარბარე თავის უფროს დას არ ჩამოუვარდებოდა ცხენოსნობაში. ცოლად გაჰყვა ლანჩხუთელ ცხენოსანს ქრისტეფორე იმნაძეს, ცოლ-ქმარი საცხოვრებლად ამერიკაში დარჩა. 1918 წელს ომის გამო შოუ დაიხურა. ისინი საცხოვრებლად ჩიკაგოში გადავიდნენ. (შეეძინათ ოთხი ქალიშვილი). საუბედუროდ ცხენოსნებს რუს კაზაკებს უწოდებდნენ.

1968 წელს ბარბალე ზაქარეიშვილი გარდაიცვალა და ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი წერდა „მოჯირითე კაზაკი ქალბატონის პანაშვიდი გაიმართებოდა ჩიკაგოს ორთოდოქსულ ეკლესიაში“.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....3

• ერისთავები

გიორგი ერისთავი	5
ზაალ ერისთავი	6
დავით ერისთავი	6
გიორგი ერისთავი	7
ლომინ ერისთავი	7
ვახტანგ ერისთავი	7
გიგო ერისთავი	8
ჯამბაკურ ერისთავი	9
დიმიტრი ერისთავი	9
ჩუტა ერისთავი	10
გიორგი ერისთავი	11
მარიამ ერისთავი	11
მიხეილ ერისთავი	12
ნიკოლოზ ერისთავი	12
პეტრე ერისთავი	12
სიმონ ერისთავი	13
მიხეილ ერისთავი	13

• (ჩოხატაურში მოღვაწე სასულიერო პირები).

გიორგი ბეჟანის ძე მგალობლიშვილი	14
სვიმონ მგალობლიშვილი	14
მაქსიმე მგალობლიშვილი	14
ანტონ იოანეს ძე კეკელიძე	14
ივანე კეკელიძე	14
ესე დავითის ძე ჯიბუტი	14
სვიმონ დოლიძე	14
იოანე მახარაძე	14
ანდრია წეროძე	14
იოანე წეროძე	14
გიორგი ცინცაძე	14

ბესარიონ მგალობლიშვილი.	14
ხალამპრე ცინცაძე.	14
ანტონ ჩიგოგიძე.	15
დავით ჩხიკვიშვილი.	15
სოფრომ ჯაში.	15
პეტრე დავითის ძე ჯაში.	15
მაქსიმე ჯაში.	15
ბესარიონ დავითის ძე კალანდაძე.	15
პეტრე გიორგის ძე კალანდაძე.	15
ესე კალანდაძე.	15
გიორგი იობის ძე ციკვანაძე.	15
მაქსიმე კალანდაძე.	15
გიორგი ლომთათიძე.	15
სერაბიონ კალანდაძე.	15
ფილიპე კალანდაძე.	15
გრიგოლ ბესარიონის ძე კალანდაძე.	15
მიხეილ მეგრელიძე.	15
მიხეილ გიორგის ძე ჩიგოგიძე.	15
ლუკა მეგრელიძე.	15
სპირიდონ ჩხიკვაძე.	15
ლაზარე სამოელის ძე ლომაძე.	15
მიხეილ იესეს ძე მეგრელიძე.	15
ნიკოლოზ ლაზარეს ძე ლომაძე.	16
ზაქარია ივანეს ძე მეგრელიძე.	16
ლუკა ივანეს ძე მეგრელიძე.	16
გიორგი მეგრელიძე.	16
იესე დავითის ძე კეკელიძე.	16
ივანე გაბრიელის ძე მამალაძე.	16
გიორგი მაარობლის ძე ანთიძე.	16
ანდრია მამალაძე.	16
იოანე რამიშვილი.	16
ნიკოლოზ ესეს ძე ტრაპაიძე.	16
ლუკა რამიშვილი.	16
ბართლომე რამიშვილი.	16
სვიმონ თალაკვაძე.	16
ლუკა ნიკოლოზის ძე ტრაპაიძე.	16
მაქსიმე მგალობლიშვილი.	16
ლევანტი თევზაძე.	16
იობი ოტიას ძე ჩიგოგიძე.	17

ანტონ პეტრეს ძე ჩიგოგიძე.....	17
ერმალოზ ჩიგოგიძე.	17
ანდრია იობის ძე უნგიაძე.	17
იოანე ანდრიას ძე უნგიაძე.	17
მაქსიმე ნიკოლოზის ძე უნგიაძე.	17
სვიმონ ტყეშელიაძე ...	
დავით გიორგის ძე ბერძენიშვილი.	17
სვიმონ გაბრიელის ძე სიხარულიძე.	17
იესე მამუკას ძე სიხარულიძე.	17
იესე პროფილეს ძე ცინცაძე.	17
ნიკოლოზ ცინცაძე.	17
მაქსიმე ცინცაძე.	17
იოანე კიკვაძე.	17
გიორგი უშვერიძე.	17
ბესარიონ უშვერიძე.	17
ნიკოლოზ უშვერიძე.	17
მიხეილ უშვერიძე.	17
გიორგი ივანეს ძე ბრიკიშვილი.	18
ივანე ხუნდაძე.	18
ფილიმონ ბროკიშვილი.	18
ნიკოლოზ ხუნდაძე.	18
ალექსი ხუნდაძე.	18
პეტრე შანიძე.	18
ბესარიონ უშვერიძე.	18
გიორგი შანიძე.	18
ივანე ნიკოლოზის ძე ხუნდაძე.	18
ალექსი ხუნდაძე.	18
ბესარიონ ვახტანგის ძე ხუნდაძე.	18
ოქროპირ უშვერიძე.	18
იოსებ ტუსკია	18
არქიმანდრიტი გაბრიელ ტუსკია.	
არქიმანდრიტი თომა	19
არქიმანდრიტი გერასიმე	19
არქიმანდრიტი არსენი	19
შაქარიშვილი გრიგოლ	19
ხუნდაძე ლუკა	19
ხუნდაძე რაჟდენი	20

ბერიძე ალექსანდრე ოტიას ძე	22
გიორგაძე რაფიელ	22
კალანდაძე ოტია ვალერიანის ძე	23
კეშელავა ემილიან სევასტის ძე	24
უღენტი ავთანდილ	24
ხუნდაძე ალექსანდრე	25
ჯაში გიორგი (გოგი) მანუილის ძე	26
ჯინჭარაძე კარლო ივლიანეს ძე	26
ჩხიცელიშვილი იოსებ	27
ხუნდაძე ევტიხი	27
ბერძენიშვილი თამარ	28
დუდუჩავა დიმიტრი ნესტორის ძე	28
თავართქილაძე კასიანე	28
თოდრია მიხეილ	29
კალანდარიშვილი ოლია თეოფანეს ასული	29
კალანდაძე ანიკო სოლომონის ასული	29
კეკელიძე მიხეილ	30
კეშელავა ზინა	31
კილასონია აგნესა სოლომონის ასული	31
ლომთათიძე პავლე სოფრომის ძე	31
მამალაძე ტარასი	32
მაჭავარიანი იოსებ დარისპანის ძე	32
მახარაძე ვასილა კირილეს ასული	33
ნიკოლაიშვილი ლაზარე ალექსანდრეს ძე	33
რამიშვილი ელენე მაქსიმეს ასული	33
ფოცხიშვილი აკაკი პარმენის ძე	34
ქინქლაძე ლიდა	34
შარაშენიძე გიგო დავითის ძე	34
შარაშიძე ალექსანდრე დავითის ძე	35
შარაშიძე ნათელა	35
ჩიგოგიძე გერონტი იობის ძე	36
ჩხიცელიშვილი ტარიელ	36
ჩხიცელიშვილი ზაქარია ფარნაოზის ძე	36
ცენტერაძე დარეჯან გრიგოლის ასული	37
ცინცაძე ეთერი ონოფრეს ასული	37
ჭანიშვილი პარმენ გიორგის ძე	38
ჭუუასელი ალექსანდრე (საშა)	38
ჯაყელი ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე	39

ჯაში იპოლიტე (იპატი) სილიბისტროს ძე.....	40
ჯიბუტი ელენე ბარნაბის ასული	40

გოგოლაძე დავით (სოსო) ნიკოლოზის ძე	41
გურიელიძე ვახტანგ	41
დოლიძე კუკური კალისტრატეს ძე	42
კალანდაძე ტატიანა იაკობის ასული	42
მარი სულიკო მიხელის ძე	43
მეგრელიშვილი ზაქრო ვალდიმერის ძე	43
სანიკიძე ტატიანა დავითის ას.	44
სხვიტარიძე ნიკოლოზ	45
ჩხიცვაშვილი ევგენია	45
ჩხიცვაშვილი ნონა	46
ცინცაძე ნათელა არჩილის ასული	46
ძნელაძე ილია ანტონის ძე	47
ცხომელიძე თედორე	48
შარაშენიძე სევერიან	48
დოლიძე თენგიზი	48
დოლიძე კარლო	48
თოდრია ოლდა (ოლია) თომას ას	49
მარი იაკობ პატრიკის ძე	49
ჩხიცვაშვილი დავით იოსების ძე	50
ჩხიცვაშვილი იოსებ თომას ძე	50
ჩხიცვაშვილი ზურაბ	51
ჩხიცვაშვილი ირაკლი	51
ჩხიცვაშვილი ლეონიდე	52
ჩხიცვაშვილი ცოტნე	52
ჭუასელი ნოდარ	54
ხუნდაძე გიორგი	55
ხუნდაძე ფატი	55
ხუნდაძე ტრიფონ	56
ჯიბუტი რევაზ	56

ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე.....	57
ბერძენიშვილი ნამეტია	58

ბურჭულაძე მაკერი	59
გოგიბერიძე სიმონ	60
თავართქილაძე ნიკოლოზ	61
კალანდაძე ნესტორ	62
შალვა (შალია) ალექსანდრეს ძე კალანდაძე	62
მათითა იშვილი სერგო ვასილის ძე	63
ჟლენტი მიხეილ	63
რამიშვილი ნოე	64
ცინცაძე გრიგოლ მელიტონის ძე	64
წიქარიძე პლატონ	65
ხუნდაძე ანტონ	65
ხუნდაძე აკაკი	66
ხუნდაძე გაბრიელ	66
ხუნდაძე გედეონ (გენო)	67
ხუნდაძე მიხეილ	68

ნატო გიორგაძე	70
ბელარუსოვი გელა	70
ბერაძე ლექსო	70
კალანდაძე მამუკა	71
კიკვაძე ნუგზარ	71
კიკვაძე ზურაბ	71
ონიანი გოჩა	71
სიხარულიძე გია	71
უნგიაძე გოჩა	71
უჯმაჯურიძე გურამი	71
ტრაპაიძე გია	71
ახობაძე მერაბი	72
ირემაძე მურთაზი	72
შინოვი ალბერტი	72
ცინცაძე ზაზა	72
მგალობლივიშვილი ფილიპე (ლერი)	72
გუდავაძე ვანო	74
კოტრიკაძე ალექსანდრე	74
სიხარულიძე ასიკო ისააკის ძე	75
ქორიძე ავთანდილ	75
ძნელაძე რომან	76

ჭკუასელი ავთანდილ	77
ჭკუასელი დავით პავლეს ძე	77
ხუნდაძე კონსტანტინე	78
ხუნდაძე ჯიბსონ	79
ჯინჭარაძე ვლადიმერ	80
ჯინჭარაძე ჭოლა	80
<hr/>	
ბარამიძე ივანე	81
ბუკისციხელი მარიამ	81
გურგენიძე დავით	82
მამალაძე გაბრიელ (ბულარა)	82
რამიშვილი ოტია	83
ფარეშთუხუცესი ივანე	83
გურული ცხენოსნები ამერიკაში.	83

